საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№145
(12 215)

22 ივნისი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ტრაგედია

## დაიღუპნენ ახალგაზრდა ძიუდოისტები

გუშინ უმძიმესმა ტრაგედიამ შეძრა ქართული სპორტული სამყარო - საგარეჯოში, პატარძეულთან მომხდარ ავტოავარიას ორი ახალგაზრდა ძიუდოისტი შეეწირა - ალექსანდრე ბითარიშვილი და მალხაზ კუმლაძე.

მათ გარდა ბითარიშვილის კუთვნილ მანქანაში ახალგაზრდებში ევროპის ვიცეჩემპიონი, ევროპის ბავშვთა ოლიმპიური ფესტივალისა და საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გიგა შოშიაშვილი, ევროპის ბავშვთა ოლიმპიური ფესტივალის ჩემპიონი არსენ მაჭარაშვილი და ლევან შერმადინი ისხდნენ. ამჟამად სამივე მათგანი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ლუდუშაურის სახელობის კლინიკაშია, თუმცა მათს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. საავადმყოფოში სამივე ტვინის შერყევის მძიმე ფორმით და მოტეხილობებითაა გადაყვანილი. მაჭარაშვილს დაუზიანდა თვალი და მხარიც მოსტყდა, შოშიაშვილს და შერმადინს - ბარძაყის ძვალი.

თითქმის ყველა მათგანი ძიუდოისტთა ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრების წევრები არიან. ერთადერთი, ახალგაზრდულ ასაკს მხოლოდ შოშიაშვილმა გადააბიჯა, სხვები კი 17-19 წლის მოზარდები არიან...

ტრაგიკულ დილას მეგობრები ყვარელში მიეშურებოდნენ იქაურ ტურნირში საჭიდაოდ. მეგობრები კახეთში ბითარიშვილს კუთვნილი BMW-თი მიემგზავრებოდნენ. ამ ხუთეულში ბითარიშვილი ყველაზე უფრო ახალბედა გახლდათ, ეს-ეს იყო იწყებდა დიდ სპორტში გაშინაურებას... იგი ყვარელში ჭიდაობას არც აპირებდა. უბრალოდ, მეგობრები მანქანით მიჰყავდა, სხვებს კი უნდა ეჭიდავათ. სწორედ ამიტომ გავიდნენ თბილისიდან დილაადრიანად, ამიტომ ჩქარობდნენ და ამიტომ ერეკებოდათ ბედისწერა იმ დათარსული ადგილისკენ. ვინ იფიქრებდა, პატარძეულის ხიდთან ახალგაზრდებს სიკვდილი თუ უდარაჯებდა... ოფიციალური ვერსიით, ბითარიშვილმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის საპირისპირო მხარეს გადავიდა და შემხვედრ მძიმეწონიან სატვირთო მანქანას შეეჯახა... მძღოლი ადგილზევე გარდაიცვალა, დანარჩენები კი საგარეჯოს რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში კუმლაძე იყო. ექიმები მისი სიცოცხლის გადასარჩენად რამდენიმე საათი ამაოდ იბრძოდნენ... კუმლაძე დღე-დღეზე შეაღებდა ახალგაზრდული ნაკრების კარს. უფრო სწორად, მისი წევრი აქამდეც იყო, მაგრამ უახლოს ხანებში ლიდერობას ჩაიბარებდა. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელებს ამისი ეიმედებოდათ. მას ჯერ დიდი ტურნირების მედლები არ ამშვენებდა, მაგრამ ეჭვიც არავის ეპარებოდა, არც ეს დრო იყო შორს... თავადაც ამ იმედებით მიდიოდა ყოველდღიურად ვარჯიშზე, ალბათ, გულში უმაღლეს მიღწევებზეც ოცნებობდა, მაგრამ ყველა ეს იმედი გუშინდელმა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივმა, მაგრამ უაღრესად ტრაგიკულმა დილამ შეიწირა...

იმ მძიმე წუთებში ძიუდოისტთა მთელი ნაკრები თბილისი-ყვარელის გზაზე იყო... ტრაგედიამ ელვასავით ჩაიქროლა მთელ გზაზე და ყველას ავარიის ადგილას მოუყარა თავი. პატარძეულს მიაშურეს იმათაც, ვინც ჯერ კიდევ თბილისში იმყოფებოდა. მათ შორის, ეროვნული ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმაც... როცა მას სალამოთი შევეხმიანეთ, იგი ემოციებს ვერ იკავებდა და ცხარე ცრემლებით დასტიროდა ნიჭიერ შეგირდებს...

გადარჩენილ, მაგრამ ტრავმირებულ სამეულში ყველაზე უმცროსი შერმადინია, რომელსაც მწვრთნელები პერსპექტიულ მოზარდად მიიჩნევენ, შოშიაშვილი და მაჭარაშვილი კი უკვე გამოკვეთილი ლიდერები არიან. შოშიაშვილი ეროვნული წევრიცაა, მაჭარაშვილს კი იქამდე ბევრიც არაფერი უკლია. ცხადია, ეს ტრავმები სამივეს კარიერას დიდ დაღს დაასვამს, მაგრამ ისინი ოდესმე მაინც გააგრძელებენ ჭიდაობას, ორი ბავშვური სიცოცხლე კი სამუდამოდ პატარძეულთან დარჩა...

ირაკლი თავაძე

*"ლელოს" რედაქცია დამწუხრებულია ტრაგედიის გამო და სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.*

**ზესტაფონი ტობოლისთვის მზადაა**
ინტერტოტოს თასი. ევროდებიუტის წინ 2

**ქირესის მეკარე უარინთან**
გაზონელი ლიდიე ოვონო თბილისის დინამოში 2

**გმადლობთ, რომ გახსოვართ!**
ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან 3

**შოთა რუსეთისთვის ხანდაზმულია**
რუსულ პრესაში 3

# ინტერსა და მილანს დაქვეითება ემუქრებათ

## ახალი სკანდალი იტალიაში



5

გუშინ მასიმო მორატი და ადრიანო გალიანი იტალიის ფეხბურთის ფედერაციას სტუმრობდნენ

**შაშიაშვილი შტურმზე გადავიდა**
პირველი გამოცდა: 90 წუთი. მეორე გამოცდა ყილინასთან 4

**გიგიაძე საუკეთესო ფორვარდია**
უკრაინული გაზეთის გამოკითხვა 4

**ევროპის სატრანსფერო ბაზარზე**
5 კვალიარელა იუვესაც მოუნდა?

**შუსტერს შნაიდერი რეალში მიყავს** 6
7 ინტერვიუ ბერნდ შუსტერთან

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა




გოგი ფიფია, ედიკ საჯაია, სევასტი თოდუა

ინტერტოტოს თასი. ზესტაფონი

# ტობოლი შესწავლილია

## უეფამდე არცთუ შორია

ევროპული დებიუტისთვის მზადების დასკვნით ნაწილს "ზესტაფონი" თბილისში გადის. გუნდი ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ბაზაზეა შეკრებილი. "ტობოლთან" სათამაშოდ ფეროელები დანაკლისის გარეშე მიემგზავრებიან. გუშინ "ბასაზე" გოგი ფიფიასა და ედიკ საჯაიას გავესაუბრეთ.

**- საუბარი გასული სეზონით დავიწყოთ. კმაყოფილი ხართ საკუთარი თამაშით?**

გოგი ფიფია: პირველი წრე ჩემთვისაც და კლუბისთვისაც გაცილებით წარმატებული იყო. არაერთი გოლი გავიტანე, თამაში აშკარად მიმდიოდა. ზამთარში კი ტრავმა მივიღე, რომელმაც შესაძლებლობების სრულად წარმოჩენის საშუალება არ მომცა. სწორედ ამის გამო იყო, მოედანზე ნაკლებ დროს რომ ვატარებდი. საბედნიეროდ, დღესდღეობით, ალარაფერი მაწუხებს. ჩემი სხვა თანაგუნდელებიც თავს შესანიშნავად გრძნობენ.

ედიკ საჯაია: ნორმალური სეზონი ჩავატარე, სამწუხარო ისაა, რომ გუნდმა ტიტული ვერ მოიგო. არადა, ამისთვის ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ გარკვეული ფაქტორების გამო, ინტერტოტოს საგზურის მეტი, ვერაფერი მოვიპოვეთ.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ მოეცარა ხელი "ზესტაფონს"?**

ფიფია: ჩემპიონობაც შეგვეძლო, მაგრამ თასთან უფრო ახლოს ვიყავით. ფინალის წაგება ყოველთვის მტკივნეულია, განსაკუთრებით გულდასაწყვეტი კი ისაა, რომ "ზესტაფონი" ზედიზედ მესამე ფინალში დამარცხდა. "ამერთან" ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია, პირველ ტაიმში არაერთი საგოლე შანსი გავუშვით ხელიდან, დავისაჯეთ. იმის თქმა არ მინდა, რომ "ამერს" თასი არ ეკუთვნოდა, პირიქით, ამ გუნდმა დამსახურებულად გაიმარჯვა.

საჯაია: ფინალში მართლაც დასანანი მარცხი განვიცადეთ, მაგრამ არანაკლებ მწარედ ჩემპიონატში უაზროდ დაკარგული ქულები მახსენდება. "ოლიმპთანაც" შეგვეძლო გამარჯვება და "დინამოსთანაც". ყველაზე ცუდი კი ის იყო, "მერანსა" და "ჩიხურას" რომ ვერ მოვუგეთ. ყველაფერი, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ, ტიტულები და ევროსაგზურები სამართლიანად განაწილდა.

**- ახალი სეზონისთვის მზადების ასე ნაადრეად დაწყება, ალბათ, დისკომფორტს გიქმნით.**

ფიფია: მხოლოდ 4-5 დღით დავისვენეთ, რასაც ნამდვილად არ ვართ შეჩვეულნი. თუმცა დატვირთვები ზომიერია და თავს კარგად ვგრძნობთ. ბაკურიანში ფიზიკურად მოვძლიერდით, თბილისში კი ერთჯერადი ვარჯიშები გვაქვს.

საჯაია: გუნდი ნორმალურადაა მომზადებული. საწვრთნელი პროცესით ყველანი კმაყოფილები ვართ, ახალი სეზონისთვის ფორმაში ნელ-ნელა შევალთ, მაგრამ დღეისათვის ნამდვილად ვართ იმ კონდიციებში, ინტერტოტოზე ღირსეულად რომ გამოვიდეთ.

**- "ტობოლის" შესახებ რა ინფორმაცია გაქვთ?**

ფიფია: სულაც არაა ხელწამოსაკრავი გუნდი. ყაზახეთში ერთ-ერთი საუკეთესოა, ვნახეთ რამდენიმე ვიდეოფირი და ერთი შეხედვით, ათლეტური და ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდია.

საჯაია: ამას გარდა, კარგად აქვთ დამუშავებული სტანდარტული სიტუაციები. "ტობოლი" გამართულ ფეხბურთს თამაშობს. თუმცა "ზესტაფონს" ნამდვილად შესწევს იმის ძალა, რომ ასეთი დონის მეტოქე დაამარცხოს.

**- ყაზახეთში როგორ თამაშს ელით?**

ფიფია: ვინაიდან მეტოქეს ცუდად ვიცნობთ, თავიდან ალბათ, არ გავიხსნებით. ისე კი, ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ და თუ გოლი გავიტანეთ, მომდევნო ეტაპისკენ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ.

საჯაია: პირველ რიგში, დაცვაში უნდა ვიყოთ ყურადღებით. ამ რგოლში ნამდვილად არ გვიჭირს და იმედია, გოლს არ გავუშვებთ. ეს ორმატჩიან დუელში გამარჯვების საწინდარი იქნება. ცუდი მხოლოდ ისაა, ყაზახეთში ჩემპიონატი რომ მიმდინარეობს, ჩვენ კი ტონუსიდან ამოვარდნილები ვართ.

**- უეფას თასზე გადასვლა თუ მიგაჩნიათ რეალურად?**

ფიფია: რატომაც არა. მრისხანე მეტოქეები ნამდვილად არ გვეყოლება, ასე რომ, სულაც არ იქნება დიდი სენსაცია, ინტერტოტოს თასზე სამ რაუნდს თუ გავივლით.

საჯაია: მეც ასე ვფიქრობ. მიუხედავად იმისა, რომ "ზესტაფონი" ევროპაზე პირველად გადის, ჩვენს გუნდში არაერთი გამოცდილი მოთამაშეა, რომელთაც ევროთასებზე ასპარეზობის გამოცდილება აქვთ. კლუბის ხელმძღვანელობაც იმედოვნებს, რომ წარმატებით ვითამაშებთ, თითოეული ეტაპის გადალახვაზე პრემიებია დაწესებული.

**- და ქართულ ასპარეზზე უკეთესი შედეგის მისაღწევად თუ ხართ მზად?**

ფიფია: დარწმუნებული ვარ, ახალ სეზონში გაცილებით ძლიერი გუნდი გვეყოლება. რამდენიმე თვის წინათ რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაგვემატა, მალე ისინი გუნდთან სრულად გაივლიან ადაპტაციას და შედეგსაც გავაუმჯობესებთ. ახალი სეზონი უტიტულოდ არ უნდა დავასრულოთ.

საჯაია: ობიექტურად, დღესდღეობით, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გვყავს. დიდი იმედი მაქვს, რომ დაშვებული შეცდომებისგან სათანადო დასკვნებს გამოვიტანთ და გაისად ჩემპიონობას ვიზეიმებთ.

**- რომელიმე პოზიცია გაძლიერებას არ საჭიროებს?**

ფიფია: როგორც ვიცი, უახლოეს პერიოდში კლუბის ხელმძღვანელობა არავის დამატებას აპირებს და ვფიქრობ, არცაა ამის საჭიროება. გუნდი კარგადაა დაკომპლექტებული და სკამიც ტევადი გვაქვს.

საჯაია: ძლიერი ფეხბურთელების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით, თუმცა კიდევ ერთი ძლიერი თავდამსხმელი თუ გვეყოლება, ურიგო არ იქნება.

**- კლუბის შეცვლაზე ხომ არ ფიქრობთ?**

ფიფია: "ზესტაფონთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს და მის ამოწურვამდე წასვლის სურვილი ნამდვილად არ გამიჩნდება.

საჯაია: საშუალო უცხოურ კლუბში წასვლას საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში თამაში სჯობს. ასე რომ, თუ სოლიდური წინადადება არ მექნება, "ზესტაფონში" დავრჩები. მოქმედი ხელშეკრულება მომავალ ზაფხულს მეწურება.

**- თქვენი ამჟამინდელი ფორმით კმაყოფილი ხართ?**

ფიფია: ვინაიდან ვარჯიში რამდენიმე დღის წინათ დავიწყეთ, ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ვართ, მაგრამ ძალიან მალე ნორმალურ კონდიციებში ვიქნები.

საჯაია: საკუთარი თავით კმაყოფილი მაშინ ვიქნები, წონის პრობლემა რომ აღარ შემაწუხებს. ამას კი შეიძლება, რამდენიმე თვეც დასჭირდეს.

**- ალბათ, ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის იმედიც გაქვთ.**

ფიფია: ჯერ ახალგაზრდა ვარ და თუ ვიშრომებ, შანსი აუცილებლად მომეცემა. ვიცი, რომ ტოპმიოლერის თვალთახედვის არეში ვარ.

საჯაია: არც მე დამიკარგავს ნაკრებში დაბრუნების იმედი, მაგრამ დღეისათვის საამისოდ არ ვარ მზად. თუმცა რამდენიმეჯერ ნაკრებში მაშინ გამომიძახეს, ამაზე უარეს ფორმაში რომ ვიყავი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დინამო

# ჟირესის მეკარემ უპრინთან ითამაშა

## გონჩაროვი პოკერით დაბრუნდა

ბაკურიანული შეკრებიდან თბილისში დაბრუნებულ "დინამოს" გუშინ კიდევ ერთი ახალწვეული შეუერთდა - გაბონის ეროვნული ნაკრების 24 წლის მეკარე **დიდიე ოვონო.**

აფრიკელს საქმეში ჩართვა გუშინვე მოუნია - **დუშან უპრინმა** გუნდი ორად გაყო და ერთმანეთის წინააღმდეგ ათამაშა. ტესტმატჩში, რომელიც სამი 30 წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა, პირობითად "თეთრები" და "შავები" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

"თეთრები": **გრიშიკაშვილი, ლობჟანიძე, ზელიჩი, თომაშვილი, გველესიანი, ვ. ხორგუაშვილი, ფეიქრიშვილი, ოდიკაძე, ხუციშვილი, დილმელაშვილი, სპასოევიჩი.**

"შავები": **ოვონო, შ.კაშია, კრშკო, გ. კაშია, გუგავა, ფირცხალავა, ხმალაძე, პ. ხორგუაშვილი, ვუკუე, გონჩაროვი, ჯანაშია.**

შეცვლაზე ითამაშეს **სანდრო კობახიძემ, გიორგი მერებაშვილმა** და მეკარე **გიორგი მაკარიძემ.**

მატჩი "შავებმა" 4:1 მოიგეს. როგორც ხედავთ, **უჩა ლობჟანიძის** გარდა, "დინამოს" განათხოვრებული **ბორის გონჩაროვიც** დაუბრუნდა, თანაც პოკერით. გასული სეზონი მან გორის "დილაში" ჩაამთავრა... "თეთრებიდან" კი პრესტიჟის გოლი ჩერნოგორიელი თავდამსხმელის **ილია სპასოევიჩის** ანგარიშზეა. მესამე ტაიმიდან, როცა მოედანზე მაკარიძე გამოჩნდა უპრინმა გუნდებს მეკარეები შეუცვალა. უნდა ითქვას, რომ ამ ტესტში მონაწილე ყველა მოთამაშე მონდომებით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით პოტენციური ახალწვეულები, ძმები **ვალტერ** და **პავლე ხორგუაშვილები, ოლეგ გველესიანი, ვუკუე** და **დიდიე ოვონო**. ვუკუე მარჯვენა ფლანგზე იყო გამწესებული, ის გრძელი და ზუსტი პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს. სხვათა შორის, მეორე გოლი გონჩაროვმა სწორედ მისი პასით გაიტანა. თამაშს კარგად კითხულობს, პოზიციასაც კარგად ირჩევს და გამოსვლაზეც საიმედოდ თამაშობს დიდიე ოვონო.

თამაშის დასრულების შემდეგ, "დინამოს" თავკაცმა დუშან უპრინმა "ლელოსთან" საუბარში შემდეგი კომენტარი გააკეთა:

*"ბაკურიანიდან დღეს დავბრუნდით. ფეხბურთელებმა კლიმატი შეიცვალეს, რაც ბუნებრივია ყველა ადამიანის ორგანიზმზე აისახება. მგზავრობისა და გარემოს გამოცვლის მიუხედავად ფეხბურთელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.*

*რაც შეეხებათ პოტენციურ ახალწვეულებს, ძმები ხორგუაშვილები ახალგაზრდა მოთამაშეები არიან, დღეს კარგად გამოიყურებოდნენ. კარგი იყო გველესიანი, დადებითი წარმოდგენა შემექმნა ვუკუეზე. მეკარემ საწყის 60 წუთში უკეთ ითამაშა, ვიდრე მერე, მაგრამ ის მხოლოდ ამ დილით შემოგვიერთდა... ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა. მომდევნო მატჩებში მათ კიდევ დავაკვირდებით".*

ამის შემდეგ უკვე დიდიე ოვონოს გავესაუბრეთ:

- 24 წლის ვარ. წლების წინ გაბონის ჭაბუკთა, მერე კი ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოვდიოდი. ბოლო 4 წელიწადია, რაც ეროვნულ გუნდში ვთამაშობ. ამხანაგური მატჩების ჩათვლით ეროვნულში 42 შეხვედრა მაქვს ჩატარებული. წლეულს ნაკრებში 5-ჯერ ვითამაშე.

ბოლო შეხვედრაში 17 ივნისს მადაგასკარი 2:1 დავამარცხეთ.

**- რამდენადაც ვიცით, ბოლოს პორტუგალიურ კლუბში ირიცხებოდით...**

- გასული სეზონის მეორე ნახევრის წინ "პასუშ დე ფერეირაში" სალვადორული "ალიანსიდან" გადავედი. თუმცა სატრანსფერო საბუთები სრულ წესრიგში არ მქონდა და პორტუგალიაში თამაშის უფლება არ მომცეს. ასე რომ, მხოლოდ ვარჯიშებითა და ამხანაგურ შეხვედრებში მონაწილეობით მიწევდა დაკმაყოფილება. 1 ივნისს კონტრაქტი დამიმთავრდა და აქ თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩამოვედი.

**- გაბონის ნაკრების თავკაც ალენ ჟირესზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- კარგი მწვრთნელი და ჩინებული პიროვნებაა. მასთან მუშაობამ საკუთარი ძალების რწმენა და გამოცდილება შემძინა. სხვათა შორის, ჟირესმა რომ გაიგო თბილისის "დინამოში" მოვდიოდი ტესტირებაზე, კარგა ხანს მესაუბრა თქვენი ქვეყნისა და ამ კლუბის შესახებ. საქართველოში გია გურულის მეშვეობით მოვხვდი. გია თბილი ადამიანია, მისი მადლიერი ვარ.

**- რა გითხრათ ჟირესმა?**

- ხალხი დადებითად დაახასიათა, კლიმატიც კარგია, ბუნებაც და სამზარეულოც ჩინებული აქვთო. "დინამოზეც" მესაუბრა და აღნიშნა, ეს კლუბი მდიდარი წარსულით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და სხვა კომპონენტებით საქართველოში საუკეთესოაო. მოხარული ვარ, რომ ამ დონის გუნდში ვარ ტესტირებაზე. ყველაფერს გავაკეთებ "დინამოში" რომ ამიყვანონ.

**- ოჯახის შესახებაც გვითხარით...**

- ორი ძმა და სამი და მყავს. ერთი ძმა 26 წლისაა, მეორე კი 15-ის. მყავს მეუღლე და ორი წლის შვილი.

*P.S. "დინამოსთან" დაკავშირებით ერთსაც დავამატებთ. "დინამოს" აკადემიამ მეოთხე სუპერთასიც მოიგო.* ***ბაგრატ ჩადუნელის*** *გუნდმა (1991-92 წლებში დაბადებულები) საფეხბურთო სკოლებს შორის გამარჯვებული 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდი 2:1 დაამარცხა.*

**დავით ცაბაძე**




დიდიე ოვონო და რაიმონ ვუკუე (2) მწვრთნელის მითითებებს ისმენენ

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge


ამერი

# დღეს რუსთავში აფრიკელებს ელიან

რუსთავის "ოლიმპი" აფრიკელი ფეხბურთელების მოლოდინშია. ფიფას აგენტმა **გია გურულმა** საქართველოს ჩემპიონს ოთხი ფეხბურთელი შეურჩია. ერთ-ერთი მათგანი, გაბონის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველი **ერნსტ აკუსაგა** გახლავთ. დანარჩენების ვინაობას დღეს შევიტყობთ, რადგან კვარტეტი საქართველოში დღეს უნდა ჩამოფრინდეს, რაც თავად გურულმა გვითხრა.

ამ მოთამაშის თაობაზე ინტერნეტში ბევრს ვერაფერს მივაგენით. მხოლოდ ის ვნახეთ, რომ 2002 წლის 18 ივლისს მალის ნაკრების წინააღმდეგ გასვლით შეხვედრაში უთამაშია გაბონის ახალგაზრდულ გუნდში. ბოლო დროს სად თამაშობდა, რომელ გუნდში, რა ინტენსიობით და ა.შ, ეს უკვე ველარ გავარკვიეთ.

რა დონის ფეხბურთელია აკუსაგა, ამაზე მხოლოდ გია გურულის მიერ საქართველოში გამოგზავნილი ფეხბურთელებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ - საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი საკმაოდ კარგ ფეხბურთელებს აგზავნის. მაგალითად, ბოლნისის "სიონში" ჩამოყვანილ კამერუნელებს, **ბოიომოს, ევოჩეს** და **ჩასემს**, აგრეთვე "ზესტაფონის" ნახევარმცველ **პოლ კესანის** მენეჯერი არ შეურცხვენიათ.

სხვათა შორის, კესანიც გაბონელია და ქვეყნის ეროვნულ გუნდში 40 მატჩი ჩაატარა. როგორც დავადგინეთ, მისი ხათრით, ამ ქვეყნის სპორტული პრესა საქართველოს ჩემპიონატსაც კი აშუქებს.

აკასაგას გარდა, გურული კიდევ სამ ფეხბურთელს გამოაგზავნის, ამჯერად, კამერუნელებს - ორ ნახევარმცველსა და ერთ თავდამსხმელს.

ამასობაში შევიტყვეთ, რომ რუსთავის "ოლიმპში" მიწვეულმა გამოცდილმა სპეციალისტმა **შოთა ჭეიშვილმა,** საბოლოოდ, მაინც ბავშვთა ფეხბურთში დაბრუნება და უმაღლესი ლიგის მწვრთნელის უმადურ საქმეზე უარის თქმა გადაწყვიტა.

რაც შეეხება სტადიონის ლიცენზირებას, როგორც ცნობილია, უეფას წარმომადგენელი რუსთავში 9 ივნისს უნდა ჩამოსულიყო და სტადიონის ევროთამაშებისთვის მზადყოფნა შეემოწმებინა. ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტის თანამშრომელმა **ბაქარ ჟორდანიამ** გვაცნობა, რომ ევროპელმა სტუმარმა სტადიონის ინსპექტირება გადადო, მაგრამ შესაძლოა, უახლოეს დღეებში გვესტუმროსო.

სტადიონთან დაკავშირებით ბაქარ ჟორდანიამ საკუთარი მოსაზრება გაგვიზიარა: *"რუსთავში გაითვალისწინეს შენიშვნები და ხარვეზები გამოასწორეს. სამუშაოს დიდი ნაწილი დასრულებულია და ჩემი აზრით, უეფა "ოლიმპს" საშინაო შეხვედრის რუსთავში მასპინძლობის უფლებას მისცემს."*

**მერაბ მამულაშვილი**



ლექსო კვახაძეს (მარცხნივ) სატურნში ელიან



შოთა არველაძე:

# რუსეთისთვის ხანდაზმული ვარ

"სპორტ-ექსპრესმა" საქართველოს ნაკრების თავდამსხმელ **შოთა არველაძეს** ინტერვიუ ჩამოართვა და დაინტერესდა, სხვა გუნდში გადასვლას ხომ არ აპირებს.

*"რას მეკითხებით? მალე 35 წლის გავხდები და თავში სულ სხვა აზრები მიტრიალებს - ხომ არ წავიდე ფეხბურთიდან? გასულ სეზონში 28 ბურთი გავიტანე - 5 ნაკრებში და 23 კლუბში. ბოლო წუთამდე მჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო "ალკმაარის" ჩემპიონობა. ეს გუნდისთვის ძალიან დიდი წარმატება იქნებოდა და ასეთ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, წარმატებულ ტალღაზე ფეხბურთიდან ლამაზად წავიდოდი. სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხეთ. ახლა კი დრო მაქვს, ყველაფერი კარგად მოვიფიქრო და გადავწყვიტო".*

რუსმა ჟურნალისტმა შოთას კითხვა რუსეთის პრემიერლიგაში შესაძლო გადასვლაზეც დაუსვა, ევროპის ძლიერ კლუბებში ნათამაშები ბევრი პოსტსაბჭოელი ფეხბურთელი კარიერის ბოლოს რუსეთში გადმოდის და შენც იმავეს ხომ არ აპირებო?

*"რეალობას არ უნდა მოვწყდეთ - რუსეთის პრემიერლიგისთვის მე უკვე ძალიან ხანდაზმული ვარ"* - უპასუხა ქართველმა ფეხბურთელმა.

არველაძემ 'სპორტ-ექსპრესს" ორი წლის წინათ დაწესებული პრიზი "ზვეზდა" მოუწონა, რომლითაც საუკეთესო პოსტსაბჭოელ ფეხბურთელს ავლენენ: *"ძალიან კარგი იდეაა და დარწმუნებული ვარ, რომ მისი მოპოვება ნებისმიერ ფეხბურთელს გაუხარდება. ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობა ლამის ნახევარი ევროპაა. ასე რომ, პრესტიჟული პრიზია. ძალიან მაინტერესებს, ვინ გახდება წლეულს გამარჯვებული, რადგან კონკურენცია საკმაოდ გაიზარდა. შევჩენკო, კერჟაკოვი, კალაძე - მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან, მაგრამ კახას გამარჯვება გაუჭირდება, რადგან მცველია. არის კიდევ გლები - მნიშვნელოვანი დეტალი "არსენალის" მექანიზმში. რუსეთშიც არაერთი ნიჭიერი ბავშვი გამოდის, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. საკუთარი გვარი იმიტომ აღარ დავასახელე, რომ ჯერ არ გამირკვევია, გავაგრძელებ თუ არა კარიერას. არადა, მოსკოვში "ზვეზდას" ასაღებად ჩამოსვლა გამახარებდა".*

შოთამ საქართველოს ნაკრებზეც ისაუბრა. თქვენს ეროვნულ გუნდს მაღალი კლასის შემსრულებლები კი ჰყავს, მაგრამ წარმატებას რატომ ვერ აღწევთო? - იკითხა ჟურნალისტმა.

*"პრობლემა ისაა, რომ მაღალ დონეზე ბევრი ქართველი არ გამოდის. ტრავმის გამო კალაძე და ასათიანი თუ დაგვაკლდება, ეს ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია. თუკი უზარმაზარ რუსეთშიც კი ფეხბურთელთა არჩევანი შეზღუდულია, საქართველოზე რაღა უნდა ვთქვათ?"*

**მერაბ მამულაშვილი**

# გმადლობთ, რომ გახსოვართ!

**მალხაზ ასათიანის დაბრუნებაზე გუშინდელ ნომერში ვრცლად გიამბეთ. შეგახსენებთ, რომ "ლოკომოტივისა" და "ამკარის" მატჩში მოედანზე მან სრული მეორე ტაიმი გაატარა. საბედნიეროდ, გაირკვა, რომ შეხვედრის მიწურულს მიღებული დაზიანება საგანგაშო არაა. საქართველოს ნაკრების ლიდერმა თამაში ბოლომდე ჩაამთავრა, მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ კი პრესას გაესაუბრა.**

**- საკუთარ ფიზიკურ მდგომარეობას როგორ შეაფასებთ?**

- ნორმალურად. ცოტა დავიღალე, მაგრამ ერთი ტაიმი მაინც გავძელი. ამხელა პაუზის შემდეგ უმაღლეს დონეზე თამაში ძნელია. ვიმედოვნებ, ოპტიმალურ ფორმას მალე დავიბრუნებ. დანარჩენი კი მწვრთნელის გადასაწყვეტია, თუ გუნდს დავჭირდები, მოედანზე ხშირად გავალ.

**- მუსლინის მსგავსად, ბიშოვეციც დაცვის ცენტრში დაგტოვებთ?**

- ალბათ, ასე იქნება, მაგრამ შეტევაში ჩართვის საშუალებაც მექნება.

**- როგორი განწყობაა გუნდში ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ?**

- წაგება, რა თქმა უნდა, საწყენია, მაგრამ ატმოსფერო ნორმალურია. სიტუაციის გამოსწორებას შევეცდებით, პირველი წრე მალე დასრულდება, ქულების დაკარგვის უფლება აღარ გვაქვს.

**- მატჩის მიწურულ კოჭლობა რატომ დაიწყეთ?**

- ბურთი ნაოპერაციებ ადგილზე მომხვდა და ტკივილი ვიგრძენი, მაგრამ მალევე გამიარა, საგანგაშო არაფერია.

**- თამაშის შემდეგ ბიშოვეცმა რა გითხრათ?**

- არაფერი განსაკუთრებული, ყველა კარგად ვაცნობიერებთ, რომ ქულების ასე უაზროდ დაკარგვა არ შეიძლება.

**- ხელმძღვანელობა მწვრთნელის შეცვლაზე ხომ არ საუბრობს?**

- ეს ჩემი საქმე არაა. ვინც უნდა იყოს მწვრთნელი, ფეხბურთელები ჩვენს საქმეს ყოველთვის პირნათლად შევასრულებთ.

**- ამხელა პერიოდი უფეხბურთოდ როგორ გაატარეთ?**

- ოფიციალურ შეხვედრებში არ ვთამაშობდი, თორემ ვარჯიში კარგა ხნის წინათ განვაახლე. ერთადერთი,



გულშემატკივრები მომენატრნენ. მიხარია, რომ ხალხს არ დავვიწყებივარ. დღეს მათგან უდიდესი სითბო და თანადგომა ვიგრძენი, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ვიტ ჯორჯია

# კვახაძე რამენსკოედანაც დაუნახავთ

ადრეც გაუწყეთ, რომ თბილისის "ვიტ ჯორჯიის" 22 წლის ცენტრალური მცველი **ლექსო კვახაძე** შესაძლოა, უცხოეთში წავიდეს.

კვახაძემ 2006-07 წლების სეზონი საკმაოდ კარგად ჩაატარა, გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო, მეორე წრიდან კი, როცა **დავით დილმელაშვილი** თბილისის "დინამოში" გადავიდა, კაპიტნის სამკლაურიც მოირგო.

ახლა კი შევიტყვეთ, თუ კონკრეტულად რომელი გუნდია დაინტერესებული კვახაძით - რუსული პრემიერლიგის რამენსკოეს "სატურნი", სადაც **გოგიტა გოგუა** თამაშობს.

"სატურნსა" და "ვიტ ჯორჯიას" შორის ოფიციალური მოლაპარაკება ჯერ არ დაწყებულა. კვახაძის გადასვლის საკითხი თვის ბოლოს გაირკვევა.

**დავით თავართქილაძე**

ამერი

# მარდი ბიჭი გორიდან

საქართველოს თასის ორგზის მფლობელი თბილისის "ამერი" ახლა ბორჯომშია შეკრებაზე და იქ ერთი ახალი ფეხბურთელი იახლა - **გიორგი ვარდოსანიძე,** ვინც ბოლოს გორის "დილაში" თამაშობდა. მამამისი, **მამუკა ვარდოსანიძე** კი ამ კლუბის მთავარი მწვრთნელი გახლავთ.

ვარდოსანიძე "ამერისთვის" უცხო არ არის. ის "დილამდე" "მარდის" ფეხბურთელი იყო. კლუბისა, რომლის მარცვალზეც აღმოცენდა "ამერი".

ვარდოსანიძე შემტევი ნახევარმცველია და "ამერში" ჯერ გასინჯვაზეა.

**დავით თავართქილაძე**


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge



# ახალი კონტრაქტი და არაბული პერსპექტივა

## როგორ გაუმართლათ ირანელ ჟურნალისტებს



ჯაბა მუჯირი (9)

ჯაბა მუჯირი ოთხი წლის წინათ გადავიდა თბილისის "ვიტ ჯორჯიიდან" ისპაჰანის "სეპაჰანში" და მისი ირანული კარიერა წარმატებული გამოდგა - ბოლო ორ წელიწადში მუჯირის "სეპაჰანს" ირანის თასი ხელიდან არ გაუშვია, სულ კი ჯაბამ სამჯერ ასწია სპარსეთის თასი, პირველად პირველივე სეპაჰანურ სეზონში.

მუჯირი მარცხენა მცველი გახლავთ, სტაბილურია, ორთაბრძოლებშიც ყოჩაღობს და ტექნიკაც არ დაეწუნება - ასეთი იყო ჯაბა "ვიტ ჯორჯიაში" და ირანის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდშიც ალბათ რიგიანად ირჯება - თუ ტრავმირებული არ არის, სულ ძირითადშია.

**- მცველი ხარ და "სეპაჰანში" ბოლოს ამ ამპლუისთვის, ცოტა არ იყოს, შეუფერებელი ნომერი მოგცეს...**

- ადრე ხუთი ნომერი ვიყავი, მაგრამ შარშან გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა, ნომრები გამოთავისუფლდა და მეცხრე ნომერი მომცეს. ნომრის შეცვლას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

**- ირანში ყველა უცხოელი ვერ ეგუება იქაურობას და მალევე ტოვებს სპარსეთს - შენ რა გაკავებს იქ?**

- პირველი წელი მეც გამიჭირდა, ახლა კი არანაირი პრობლემა არ მაქვს - სპარსული ენა კარგად ავითვისე და ირანულ სიტუაციასაც კარგად ვიცნობ.

**- საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი მოკავშირე ხდება, ირანი კი ამერიკასთან სერიოზულადაა დაპირისპირებული - ყოველივე ამის ფონზე რა დამოკიდებულება აქვთ ირანში ქართველებზე?**

- ნორმალური, რაც ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი მოვიდა, საქართველოსა და ირანს შორის ურთიერთობა გაადვილდა. ათდღიანი ვიზის აღება უკვე საზღვარზე გახდა შესაძლებელი, როგორც ქართველებისთვის, ასევე სპარსელებისთვის. ვიზების ფასმაც დაიწია. ერთი სიტყვით, ირანში ქართველებისადმი ცუდი დამოკიდებულება არ მიგრძნია.

**- ირანული კლუბების დაფინანსება იზრდება თუ სტაბილურად ერთ დონეზეა?**

- ბოლო სეზონში "სეპაჰანის" ბიუჯეტი დაახლოებით ოცი პროცენტით გაიზარდა. თითქმის ყველა სპარსულ გუნდში უფრო და უფრო მეტი ფული ჩნდება. კლუბები ერთმანეთს ეჯიბრებიან ფეხბურთელების გადაბირებაში. ჩვენ ირანის თასი მოვიგეთ და აზიის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავედით - წარმატებებს დამატებითი ფინანსები მოაქვს.

**- შენს გადაბირებასაც ცდილობდნენ სხვა კლუბები?**

- კი, თეირანის სამი გუნდი იყო დაინტერესებული - "საბა ბატერი", "ფეიქანი" და "პასი", თუმც "სეპაჰანი" ვარჩიე, რომელთანაც ორი წლით გავაგრძელე კონტრაქტი.

**- ფინანსური თვალსაზრისით როგორ შეადარებდი ირანულ კლუბებს, მაგალითად, უკრაინულ გუნდებთან?**

- ირანში უკრაინის საშუალო გუნდებზე უკეთესი ფინანსური მდგომარეობაა.

**- ირანელი ფეხბურთელების სამიზნე რა არის?**

- თუ ირანელ ფეხბურთელს წლიურ გასამრჯელოდ მინიმუმ 300 000 დოლარს არ შესთავაზებენ, სამშობლოდან წამსვლელი არ არის. ისინი მეტწილად საემიროებში მიდიან, იქიდან ევროპაში. საემიროებში სეზონი ნახევარი წელიწადია, ანაზღაურება კი მნიშვნელოვნად მეტი. ალი ქარიმი, ვისაც აზიის მარადონა შეარქვეს, საემიროებიდან გადავიდა მიუნხენის "ბაიერნში". საემიროებში მას წელიწადში ორი მილიონი დოლარი ჰქონდა. ბუნდესლიგაში კი იმიტომ გაუჭირდა თამაში, რომ სათანადო ფიზიკური კონდიციები არ აღმოაჩნდა. ამ მხრივ ირანელ ფეხბურთელთაგან საუკეთესოდ მეჰდი მაჰდავიკია ითვლება. სანამ ის ბუნდესლიგაში წავიდოდა, ირანში ფიზმომზადების ტესტი ისეთი მაჩვენებლით დაასრულა, მისი რეკორდი დღემდე ვერავინ მოხსნა.

**- ირანული ფეხბურთის კიდევ ერთმა ლეგენდამ ალი დაეიმ კი ფეხბურთელის კარიერა დაასრულა - როგორი იყო დაეი ბოლო სეზონში?**

- მისმა გუნდმა "საიფამ" პირველი წრე ცუდად ჩაატარა, მწვრთნელი გაუშვეს და დაეი მოთამაშე-მწვრთნელი გახდა. ამის შემდეგ "საიფა" ისე ათამაშა, ჩემპიონი გახდა.

**- "სეპაჰანი" კი მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა...**

- ჩემპიონატი, თასი და ჩემპიონთა ლიგა - ამდენ ფრონტზე სათამაშოდ ჯანი არ გვეყო და გრძელი სკამიც არ აღმოგვაჩნდა.

**- ირანელი აგენტი გყავს და საემიროებში გადასვლის პერსპექტივაზე არაფერს გეუბნება?**

- საემიროებში კლუბებს მხოლოდ ორი ლეგიონერის აყვანის უფლება ჰქონდათ და უცხოელთაგან მხოლოდ თავდამსხმელებს ან შემტევ ნახევარმცველებს ითხოვდნენ. წლეულს ლიმიტი სამამდე გაიზარდა და უკვე მცველებსაც ეძებენ. "სეპაჰანთან" ისეთი ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, რომ ერთი წლის შემდეგ თუ სხვა გუნდში გადასვლას მოვისურვებ, თავისუფალი აგენტი ვიქნები. მოკლედ, ვნახოთ...

**- ირანულ სატრანსფერო ბიზნესში რა თავისებურებებია?**

- თითქმის ყველა ირანელი სპორტული ჟურნალისტი მენეჯერობს. სპორტული კლუბების მესვეურები ყურადღებით აკვირდებიან პრესას და რომელი ფეხბურთელიც ხშირად ჩნდება საგაზეთო ფურცლებზე თუ ტელეარხებზე, მათზე მოთხოვნა იზრდება. თითქმის ყველამ იცის, რომ ჟურნალისტები პარალელურად აგენტები არიან, მაგრამ პრესაში დაბეჭდილს მაინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სხვათა შორის, ერთმა ტელეჟურნალისტმა მალულად მეც შემომთავაზა აგენტობა, რა თქმა უნდა, მასთან საქმე არ დავიჭირე.

**დავით თავართქილაძე**

# შაშიაშვილს ჟილინასთანაც ნახავენ

რამდენიმე დღეა, ეროვნული ნაკრების მცველი **გიორგი შაშიაშვილი** ავსტრიულ "შტურმშია" ტესტირებაზე. გუშინწინ მან პირველად ითამაშა საკონტროლო შეხვედრაში. შეგახსენებთ, რომ "შტურმმა" **გივი ჩხეტიანის** "პარტბერგი" დიდი ანგარიშით 7:2 დაამარცხა, შაშიაშვილმა კი 90 წუთი დაყო მოედანზე.

გრაცელთა ოფიციალურ ვებგვერდზე შაშიაშვილზე მხოლოდ ის წერია, რომ ქართველი **ფრანკო ფოდას** გუნდში ტესტირებას განაგრძობს. "შპორტ 1-ის" სატრანსფერო ჩამონათვალში კი შაშიაშვილი "შტურმში" სავარაუდო გადამსვლელთა სიაშია მოხსენიებული.

მანამდე კი "შტურმმა" **მარტინ კობრასთან, მარიო შიონლაიტნერსა** და **იოზეფ შიკლგრუბერთან** გააფორმა კონტრაქტები.

გიორგისთან ავსტრიაში დაკავშირება ვერ შევძელით. "შტურმი" შაბათს, 23 ივნისს სლოვაკეთის ჩემპიონ "ჟილინასთან" ამხანაგურ მატჩს გამართავს. და ავსტრიული წყაროების მტკიცებით, ფრანკო ფოდას კიდევ ერთხელ სურს ქართველი მცველის საქმეში ნახვა.

**დავით ცაბაძე**

# გიგიაძე საუკეთესო თავდამსხმელია

პოპულარულმა უკრაინულმა გამოცემა "კომანდამ" სეზონის შედეგები შეაჯამა და გამოაქვეყნა. საუკეთესო ფეხბურთელთან ერთად, სხვადასხვა პოზიციაზე ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელებიც დაასახელეს.

საუკეთესო ფეხბურთელი კიევის "დინამოს" ნახევარმცველი **დიოგო რინკონი** გახდა, რომელმაც შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით 6,22 ქულა დააგროვა. პირველობა მეთერთმეტე პოზიციაზე დაასრულა კრივიო როგის "კრივბასის" თავდამსხმელმა **ვასილ გიგიაძემ**. სამაგიეროდ, იგი თავდამსხმელთა ნომინაციაში პირველია. დიახ ქართველმა ლეგიონერმა გაასწრო უკრაინაში მოთამაშე ყველა ვარსკვლავს და 6,07 ქულით პირველი გახდა. ასეთივე საშუალო მაჩვენებელი ჰქონდა კიევის დინამოელ **კლებერს**, მაგრამ ქართველმა მეტი შეხვედრა ჩაატარა (27), ბრაზილიელმა კი მხოლოდ თხუთმეტი და ამის ხარჯზე გამარჯვებულად "კრივბასის" კაპიტანი გამოცხადდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# უკრაინელები თავისას არ იშლიან

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ინფორმაციით, **ლადო ბურდული** "ზარიაში" ჯერ არ გადასულა, უკრაინული პრესა ირწმუნება, რომ ქართველმა ნახევარმცველმა ლუგანსკურ კლუბთან უკვე გააფორმა კონტრაქტი.

*"პოზიციით მარჯვენა ნახევარმცველი ვარ, თუმცა მოედნის ცენტრშიც შემიძლია თამაში. საკმაოდ ნორმალური ტექნიკური არსენალი მაქვს, მეორე სართულზე თამაშიც გამომდის. უკრაინელთა კარში ორი გოლი გამიტანია, ერთხელ ახალგაზრდული, ერთხელ კი ეროვნული ნაკრებისთვის. უკრაინაში თამაშის საკმაო გამოცდილება მაქვს და ვიმედოვნებ, "ზარიაში" თავს გამოვიჩენ"*, - ბურდულის სიტყვები მოჰყავთ უკრანელებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# მჟავანაძე ანჟიში აღარ ირიცხება

ლიტვის A ლიგაში მე-15 ტურის მატჩები გაიმართა. კიდევ ერთხელ წაიფორხილა ლიდერმა და ჩემპიონმა "კაუნასმა". **გივი კვარაცხელიასაზ** და **ნუკრი მანჩხავას** გუნდმა სტუმრად "ჟალგირისთან" წააგო - 0:1. 50-ე წუთზე მასპინძელმა **მორინასმა** გაიტანა ერთადერთი გოლი, 8 წუთში ლიტვის ნაკრების ფორვარდმა **ბენიუშისმა** პენალტი გააფუჭა და "კაუნასმა" ქულის გადარჩენაც ვერ შეძლო. ნუკრი მანჩხავამ შეუცვლელად ითამაშა, ხოლო კვარაცხელია განაცხადში არ ყოფილა. "შილიუტე" შინ "ვილნიუსთან" 0:2 დამარცხდა. "შილიუტეში" "კაუნასიდან" განათხოვრებულია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი **აკაკი ხუბუტია**. მან შეუცვლელად ითამაშა. "კაუნასმა" ლიდერობა დაკარგა და მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა 32 ქულით. "შილიუტე" 8 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

ბელარუსის პირველობის მეათე ტურში **რომან გოგინაშვილის** ბრესტის "დინამომ" შინ "დარიდა" დაამარცხა - 2:1. რომან გოგინაშვილი 56-ე წუთზე შევიდა მოედანზე. "სმორგონი", სადაც **სულიკო კაკაბაძე** თამაშობს, შინ სოლიგორსკის "შახტიორს" შეხვდა და 0:2 დამარცხდა. კაკაბაძე 58-ე წუთზე შეცვალეს. მოგილევში "დნეპრი" 1:3 "ნემანთან" დამარცხდა. "სმორგონი" 13 ქულით მეშვიდეა, "ბრესტი" 12 ქულით მომდევნო ადგილზეა, ხოლო "დნეპრი" (ალექსანდრე შუბლაძე) 9 ქულით მეთერთმეტეა.

რუსეთის პირველ დივიზიონში მახაჭყალის "ანჟიმ" 5:0 გაანადგურა "სპარტაკი". **გოჩა ხოჯავა** 72-ე წუთზე შეცვალეს. მანამდე მას ერთი საგოლე პასი ჰქონდა გაკეთებული. **ზურაბ არზიანმა** შეუცვლელად ითამაშა და ორი საგოლე პასი მიითვალა. მატჩის შემდეგ მახაჭყალელთა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ** არზიანს გარჯა შეუქო, ხოლო მჟავანაძის შესახებ განაცხადა, რომ მას კონტრაქტი დაუსრულდა და "ჩერნომორეცს" დაუბრუნდა. ბრიანსკის "დინამომ" შინ "ტექსტილშჩიკთან" წააგო - 1:2. მასპინძელთა შემადგენლობაში **პაატა ჯინჭარაძემ** შეუცვლელად ითამაშა. ბრიანსკის "დინამო" 29 ქულით მეხუთე ადგილზეა, 28 ქულით "ანჟი" მერვე ადგილზეა..

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


# დელგადო მოამზადებს ფეხბურთელებს არგენტინაში

ედუარდო დელგადომ არგენტინაში მრავალი ფეხბურთელი მოამზადა, მათ შორის, თავისი ვაჟი მატიას დელგადო. მან ასპარეზობა დაიწყო არგენტინის "ჩაკარიტა ხუნიორსის" საფეხბურთო კლუბში, ხოლო შემდეგ კარიერა გააგრძელა შვეიცარიის "ბაზელში". გასული წლიდან, მატიას დელგადო ასპარეზობს თურქეთის "ბეშიქთაშში". მას კლუბთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი რამდენიმე მილიონ ამერიკულ დოლარზე.

ამჟამად, ედუარდო დელგადო არგენტინაში ამზადებს თენგიზ სულაქველიძის აკადემიადამთავრებულ ხვიჩა მურღულიასა და ქალაქ რუსთავის საფეხბურთო გუნდ "მამულის" ფეხბურთელ ვასილ აფციაურს.

ამა წლის ივლისიდან, დელგადო საქართველოდან არგენტინაში იწვევს 16-17-18 წლის პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს (18 კაცამდე). დელგადო ფეხბურთელებს მოამზადებს მაღალ დონეზე. მათ შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს, არგენტინისა და ევროპის საფეხბურთო გუნდებში. აგრეთვე, დელგადოს მიერ მომზადებული ფეხბურთელები შეძლებენ, მაღალ დონეზე ითამაშონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

არგენტინის მხარე ავიაბილეთების, ვიზების, ადგილზე ცხოვრების, ტრანსპორტის, კვებისა და მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის, ფეხბურთელებთან და მათ სპონსორებთან შეხვედრები იწარმოებს მისამართზე: თავისუფლების მოედანი, ლეონიძის ქ. 4 (ყოფილი კიროვის ქუჩა), დილის 11 საათიდან 13 საათამდე. ყოველდღე, კვირის გარდა.

**საკონტაქტო ტელეფონები: 92 10 60; 8 (99) 23-55-20.**

**ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან ამა წლის ივლისში. იჩქარეთ, საბუთების გასაფორმებლად!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი კალჩოპოლი. სკანდალი ფინანსების გამო

# ინტერი და მილანი სერია B-ში?

"ინტერი" რომ ფინანსურ სკანდალში გაეხვა, გუშინდელ ნომერში უკვე ვწერდით. ვინც საქმის კურსში არაა, მოკლედ შევახსენებთ: საუბარია 2005/06 წლების სეზონის წინ სატრანსფერო თანხების შეგნებულად გაბერვაზე, რათა დიდი ფინანსური ბრუნვის ჩვენებით, კლუბს იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში აუცილებელი გარანტიები უპრობლემოდ წარედგინა და ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მიეღო. მილანის პროკურორი **კარლო ნოჩერინო** აცხადებს, რომ ამგვარი მაქინაციის გარეშე, "ინტერი" ვერ მისცემდა ფედერკალჩოს საკმარის ფინანსურ გარანტიებს, რაც მას ავტომატურად დაუბლოკავდა სერია A-ს იმ ჩემპიონატში თამაშის უფლებას. ეს კი სწორედ ის სეზონია, როცა "ინტერს" "იუვენტუსის" მიერ მოგებული სკუდეტო გადაეცა...

ფინანსური დოკუმენტების გაყალბებაში "მილანიცაა" შემჩნეული. პროკურორ ნოჩერინოს თქმით, ამ კლუბში 2003/04 და 2004/05 წლების ბალანსი იწვევს ეჭვებს. **ადრიანო გალიანი**, რომელიც გუშინ **მასიმო მორატისთან** ერთად სტუმრობდა ფეხბურთის ფედერაციას, მშვიდად გამოიყურებოდა: *"შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ჩვენთან გაყალბება არ ყოფილა".*

არც მორატი იყო დიდად დადარდიანებული, მაგრამ თუ პრესას დავუჯერებთ, მუდმივად გაწონასწორებული ბოსი ჩვეულებრივზე მეტად აღელვებული ჩანდა. მან ასეთი კომენტარი გააკეთა: *"წყნარად ვარ. ჩვენი დოკუმენტაცია აბსოლუტურად გამჭვირვალეა და აქ რაიმე სახის გაყალბებაზე არ შეიძლება იყოს საუბარი. საქმე ისაა, რომ ბევრი კარგად არ იცნობს საფეხბურთო სამყაროს და ამიტომაც ჩნდება კითხვები. დასამალი არაფერი გვაქვს. ფინანსურ ორგანიზაციებს სრული უფლება აქვთ, შეგვამოწმონ. კლუბს კი უფლება აქვს, საკუთარი პოზიციები დაიცვას. სიმშვიდისკენ უნდა მოვუწოდო ტიფოზებსაც, სანერვიულო არაფერი აქვთ. მათ უნდა იცოდნენ, რომ "ინტერი" ყოველთვის პატიოსნად მუშაობდა და ასე მუშაობს დღესაც".*

## მორატი და გალიანი მშვიდად არიან, ჯერჯერობით...



არადა, იურისტებს რადიკალურად განსხვავებული აზრი აქვთ. ისინი უკვე ფიქრობენ, რომ არაა გამორიცხული, "ინტერი" და "მილანი" სერია B-ში გააგდონ, თუკი საქმე სპორტულ მართლმსაჯულებას გადაეცემა. თუმცა ბრალდებას დამტკიცება უნდა. ვნახოთ, რას ფიქრობს ამ საქმის ექსპერტი, იურისტი **მატია გრასანი**:

*"ფინანსური მაქინაცია სერიოზული კრიმინალია. ამაზე მაღლა მხოლოდ სპორტული მაქინაცია შეიძლება დავაყენოთ. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, დირექტორებისთვის სანქცია შეიძლება იყოს მათი მოკვეთა ხუთი წლის ვადით, ან შესაძლოა სამუდამოდაც. სასჯელის რამდენიმე ფორმა არსებობს კლუბებისთვისაც. ერთ-ერთია პირდაპირი ფულადი ჯარიმა; შეიძლება განიხილონ ქულების დაკლების საკითხიც, და მეტიც - თვით დაბალ ლიგაში გადაყვანაც კი; ასევე, არ უნდა გამოვრიცხოთ ჩემპიონობის ჩამორთმევაც, მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ რეკომენდაცია შეიძლება იყოს, საბოლოოდ კი ეს პირადად ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა უნდა გადაწყვიტოს".*

პრინციპში, აქ ახალი არაფერია. შარშანდელი სკანდალის დროს მართლმსაჯულებამ სასჯელის ყველა ეს ფორმა გამოიყენა. თუ "ინტერსა" და "მილანს" მაქინაციები დაუმტკიცდათ, ისინი აუცილებლად დაისჯებიან, ისევე, როგორც ეს "იუვენტუსის" შემთხვევაში იყო. საინტერესო უნდა იყოს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პოზიციაც. "გაძეტა დელო სპორტმა" კომენტარისთვის ფედერკალჩოს პრეზიდენტ **ჯანკარლო აბეტეს** მიაკითხა:

*"ორგანიზაცია (Covisoc - რედ), რომელიც კლუბების ფინანსურ საქმიანობას ამოწმებს, არ არის უფლებამოსილი, კონტრაქტების ტექნიკური მხარე შეაფასოს. ამას სხვა ნორმები და სტრუქტურა სჭირდება. უნდა ვაღიაროთ, რომ არც ფეხბურთის ფედერაციას და არც სხვა რომელიმე ორგანიზაციას, არ შესწევთ ძალა, საფეხბურთო ბაზარი და მოთამაშეთა ფასები აკონტროლონ. ეს ძალზე დელიკატური საკითხია. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ პრობლემები დაგროვდა და ეს ყველაფერი შესასწავლია. რაც შეეხება ამ ბოლო საქმეს, ჩვენ ვაკვირდებით სიტუაციას და ველოდებით პროკურორ ნოჩერინოს მოთხოვნებს. თუმცა სასამართლოში დაბრუნება მაინცდამაინც მძიმე განაჩენს არ ნიშნავს. ვეცდებით, გავაკეთოთ მაქსიმუმი, რათა ამ პრობლემას თავი დავაღწიოთ, მაგრამ ისიც გვესმის, რომ ეს ადვილი არ იქნება. კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ვერ ვუკარნახებთ კლუბებს ფეხბურთელთა სატრანსფერო ფასებს. შეიძლება, ვიფიქროთ რაიმე ახალი სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც ამ სფეროს კონტროლს გაუწევს".*

იტალია. ბაზარი დუღს და გადადუღს

# იუვე: ალმირონი და ტიაგო მოვიდნენ, ახლა კვალიარელა?

## ტორინო ვენტოლათი ძლიერდება, ჯილარდინო მილანში რჩება, ამელია ლაციოს დაიცავს, ატალანტა დონის კარგავს, ჟუანი უკვე რომაელია

"იუვენტუსმა" **სერხიო ალმირონისა** და **ტიაგო მენდეშის** ტრანსფერებს წერტილი დაუსვა. ადგილობრივი დროით 9:45 წუთზე ფეხბურთელები კლუბის სპორტულ-სამედიცინო ცენტრში გამოცხადნენ. ექიმების ხელში მათ 75 წუთი დაყვეს. მერე, ორივე ახალწვეული, **ჯანლუკა პესოტოსთან** ერთად, მანქანებში მოკალათდა და გალილეო ფერარისის 32-ში, "იუვენტუსის" ოფისს მიადგა. ალმირონსა და ტიაგოს იქ "სინიორას" მაღალი უფროსობა დახვდა. გენერალური მენეჯერის **ჟან-კლოდ ბლანისა** და ადვოკატების თანდასწრებით, არგენტინელმა და პორტუგალიელმა კონტრაქტები გააფორმეს. ალმირონი "ემპოლიდან" ტურინში 7 მილიონ ევროდ გადავიდა. ამას გარდა, ტოსკანურმა კლუბმა სანაცვლოდ ახალგაზრდა მოთამაშე **სებასტიან ჯოვინკო** მიიღო და ზედაც თანამფლობელობა **რეი ვოლპატოსა** და **მატეო პაროზე**. რაც შეეხება ტიაგოს, მისი კონტრაქტის დეტალები არ გამომზეურებულა. ვარაუდობენ, რომ "ლიონის" ან უკვე ყოფილ ნახევარმცველში, რომლისთვისაც ბოლო წუთამდე "მილანიც" იბრძოდა, "იუვენტუსმა" სადღაც 13-15 მილიონი ევრო გადაიხადა.

ამას გარდა, "იუვენტუსში" გადავიდა ახალგაზრდა ნახევარმცველი **ანტონიო ნოჩერინოც**, რომელმაც ბოლო სეზონი "პიაჩენცაში" (37 მატჩი, 6 გოლი) გაატარა. ტურინში ითამაშებს **კრისტიან მოლინაროც**, რომელიც "სიენის" ღირსებას იცავდა. "ქალბატონმა" ამ ნახევარმცველში 2.5 მილიონი ევრო გაიღო. კონტრაქტი 5-წლიანია.

**ფედერიკო ბალცარეტიმ** კი, როგორც მოსალოდნელი იყო, "ფიორენტინას" მიაშურა. გასულ სეზონში ის უპრობლემოდ დამკვიდრდა "იუვენტუსის" ძირითადში. ბალცარეტი მარჯვენა მცველია. ამ პოზიციაზე **კლაუდიო რანიერის** გამოცდილი **ჯონათან ძებინაც** ჰყავს. ეტყობა, აქცენტიც მასზე კეთდება. "ფიორენტინამ" ახალგაზრდა ფეხბურთელში 3.6 მილიონი ევრო გადაიხადა.

პარალელურად კი, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ტურინელები ახლა **ფაბიო კვალიარელათი** დაინტერესდნენ. მოგეხსენებათ, 23 წლის ფორვარდი, რომელიც "უდინეზემ" "სამპდორიისგან" სრულად გამოისყიდა (აქამდე, კონტრაქტი თანამფლობელობის პრინციპით იყო გაფორმებული), "მანჩესტერ იუნაიტედის" სამიზნეა. თავად ფეხბურთელსაც გული ნისლიანი ალბიონისკენ მიუწევს, თუმცა, შეიძლება, "იუვეზეც" არ თქვას უარი. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, ვინ რამდენს გადაუხდის "უდინეზეს". ცნობისთვის, კვალიარელასთვის გამართულ აუქციონში უდინელებმა 7.3 მილიონი ევრო დახარჯეს, მაშინ, როცა "სამპდორიამ" მხოლოდ 6.5 მილიონი გაიმეტა.

რაც შეეხება **გაბრიელ მილიტოს**, "იუვენტუსის" შანსები საკმაოდ მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ "რეალმა" არგენტინელი მცველით დაინტერესება უკვე აშკარად გამოხატა. ტურინელთა მხარეს მნიშვნელოვანი უპირატესობაა - "სარაგოსის" პრეზიდენტი **ედუარდო ბანდრეს მოლინა** აცხადებს, რომ მილიტოს ესპანურ კლუბს არ მიჰყიდის. ის მოთამაშეს 25 მილიონ ევროდ აფასებს. მაგრამ მთავარი ისაა, ვინ გადაუხდის "სარაგოსას" ამ ფულს. თუ ეს "რეალმა" მოახერხა, მაშინ არაგონელ პრეზიდენტს შეიძლება აღარც "გაახსენდეს", რომ "რეალი" ესპანური კლუბია. გუშინ, იტალიურ პრესაში კიდევ ერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ თუ მილიტო მადრიდში გადავა, **ფაბიო კანავარო** სამეფო კლუბიდან ტურინში დაბრუნდება.

"იუვენტუსის" დარად, სატრანსფერო ბაზარზე მისი თანაქალაქელი "ტორინოც" გააქტიურდა. "გრანატა" აშკარად ძლიერდება. ჯერ მარტო **ვალტერ ნოველინოს** ფაქტორიც საკმარისია, რომ ვთქვათ - ეს გუნდი მომავალ სეზონში მაჩანჩალა აღარ იქნება. ახლა, რაც შეეხება ტრანსფერებს. პირველ რიგში, **ნიკოლა ვენტოლა** უნდა ვახსენოთ. გუშინ, 29 წლის გამოცდილმა ფორვარდმა ტურინულ გუნდთან 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ფეხბურთელს წლიურად 357 ათას გირვანქას გადაუხდიან. ბოლო ორი სეზონი ვენტოლამ "ატალანტაში" გაატარა და 21 გოლი გაიტანა.

მის გარდა, "ტორომ" სერია B-ში გავარდნილი "ასკოლის" ორი მოთამაშეც გადაიბირა. საუბარია ნახევარმცველ **პაოლო ძანეტისა** და ფორვარდ **საშა ბელანოვიჩზე**. ძანეტი 24 წლისაა. სერია A-ში დებიუტი მას 2000/01 წლებში ჰქონდა, როცა პირველი პროფესიული კონტრაქტი "ვიჩენცასთან" გააფორმა. შემდეგ (2003) "ემპოლის" მიაშურა. ტრავმის გამო, შარშანდელი სეზონი თითქმის მთლიანად გაუცდა. ახლახან დასრულებულ ჩემპიონატში კი "ასკოლის" ძირითადში რეგულარულად ხვდებოდა.

ხორვატი ბელანოვიჩი 28 წლისაა. "ასკოლიში" ის ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ირჯებოდა. მანამდე კი, ზაგრების "დინამო", ვარაჟდინის (ხორვატია) "ვარტექსი", "კიევო", "კომო", "ჯენოა" და "ლეჩე" მოიარა.

"ტორინომ" 27 წლის ავსტრალიელი ნახევარმცველი **ვინჩენცო გრელაც** დაისაკუთრა. გრელასთან 3-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. ის თავისუფალი აგენტი გახლავთ. ფეხბურთელმა "პარმასთან" ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი თქვა. ამ გუნდში ის 2004 წლიდან თამაშობდა. აქვე შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ "ტორინომ" 37 წლის ნახევარმცველი, "პალერმოს" ექსკაპიტანი **ეუჯენიო კორინიც** აიყვანა.

სერიოზული შენაძენი გააკეთა "ნაპოლიმაც". სერია A-ში დაბრუნებულმა კამპანიელებმა "რეჯინის" ფორვარდი **როლანდო ბიანკი** იყიდეს. 24 წლის ბიანკიმ ბოლო სეზონში გაიბრწყინა. მის ანგარიშზე 18 გოლია. "ნაპოლიმ" ბიანკიში 7 მილიონი ევრო გადაიხადა. ნეაპოლელებმა "ბრეშას" სლოვაკი ნახევარმცველი **მარეკ ჰამსიკიც** იყიდეს. ამის სანაცვლოდ, მათ **ნიკოლას ამოდიო** და **ფაბიო გატი**, პლუს 4 მილიონი გირვანქა დათმეს.

შემტევი ნახევარმცველი **ანდრეა გასბარონი**, რომელმაც გასული სეზონი "პარმაში" გაატარა, ამავე კლუბის საკუთრება გახდა. "ჯალობლუმ" ის "პალერმოსგან" გამოისყიდა. "პარმაში" ითამაშებს ნახევარმცველი **ფრანჩესკო პარავიჩინიც**, რომელიც ასევე "პალერმოს" საკუთრება იყო და ანდასრულებული ჩემპიონატის ნახევარი სწორედ სიცილიურ კლუბში გაატარა. "პალერმოსთან" დაკავშირებით ისიც შეგვიძლია გითხრათ, რომ გუნდში რჩება მცველი **ჯუზეპე ბიავა**, რომელმაც კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელა. სამაგიეროდ, **მაურიციო ძამპარინიმ** "სიენას" გადაულოცა რუმინელი მცველი **კონსტანტინ კოდრეა**, "კალიარის" კი ასევე მცველი **მიკელე ფერი** დაუთმო.

მიუხედავად ძამპარინის მტკიცებისა, რომ თითქოს "ლივორნოს" მეკარე **მარკო ამელიას** ყიდულობს, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ იტალიის ნაკრების რიგით მესამე კიპერი "ლაციოს" კარის დარაჯი გახდება. "ბიანკოჩელესტეში" მან პენსიაში გასული **ანჯელო პერუცი** უნდა შეცვალოს.

"ატალანტა" **კრისტიანო დონის** შენარჩუნებას ცდილობს. ბერგამოელთა პრეზიდენტმა **ივან რუჯერიმ** მას ახალი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ ფეხბურთელი პირობებით უკმაყოფილო დარჩა. იტალიის ნაკრების ექსმოთამაშეს კონტრაქტი მომავალი წლის ივნისში ეწურება. პრეზიდენტი კი ბრაზობს. ის ფეხბურთელსა და მის აგენტს "ატალანტაში" დესტაბილიზაციის შეტანის მცდელობაში ადანაშაულებს. როგორც ჩანს, დონი ბერგამოს დატოვებს. ახალ კლუბს რაც შეეხება, ვარაუდობენ, რომ ეს შეიძლება "ლაციო" იყოს.

ამასობაში, **ალბერტო ჯილარდინომ** "მილანში" დარჩენის მტკიცე სურვილი გამოთქვა. მიუხედავად იმისა, რომ "იუვენტუსისა" და სხვა სერიოზული კლუბების ინტერესში ვარ, "მილანი" ჩემთვის პირველიაო - თქვა ჯილამ SKY-სთან ინტერვიუში, რომელშიც ასევე დასძინა, რომ **დავიდ სუასოსი** არ ეშინია, მიუხედავად იმისა, რომ ექსკალიარელს ძლიერ ფორვარდად მიიჩნევს.

"რომამ" ლევერკუზენელი მცველი **ჟუანი** იყიდა. ეს ოპერაცია "ჯალოროსის" 6.3 მილიონი ევრო დაუჯდა. ბრაზილიელი **კრისტიან კივუს** ალტერნატივაა. სხვათა შორის, გუშინ "რომას" გენერალურმა მენეჯერმა **როზელა სენსიმ** უცნაური განცხადება გააკეთა - შესაძლოა, კივუ ჩვენთან დარჩესო. სხვა კომენტარები არ ყოფილა...



ტიაგო მენდეში



სერხიო ალმირონი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაიერნი

# ზე რობერტოს მიუნხენშია!

## ჰიტცფელდი ბრაზილიელის ადგილს ნახევარდაცვის ცენტრში, ვან ბომელის გვერდით ხედავს...

გუშინწინ, ანუ ოთხშაბათს, ბრაზილიის ნაკრების ან უკვე ყოფილი ნახევარმცველი **ზე რობერტო** მიუნხენში ჩავიდა, "ბაიერნის" მთავარ ექიმ **მიულერ-ვოლფარტთან** სამედიცინო შემოწმება გაიარა და ბავარიულ გიგანტთან, როგორც წინდაწინვე ცნობილი იყო, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამრიგად, 32 წლის ბრაზილიელი, რომელმაც ცოტა ხნის წინათ სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება, "სანტოსში" გატარებული ერთი წლის შემდეგ, მიუნხენურ კლუბში დაბრუნდა.

როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, ამ ერთი წლის განმავლობაში ზე რობერტო, როგორც ფეხბურთელი, კიდევ უფრო დაიხვეწა და მრავალწახნაგოვანი გახდა. კერძოდ, "სანტოსში" მისი ამოცანა არა ჩვეულებრივ მარცხენა ნახევარმცველის ფუნქციების შესრულება, ანუ, ფორვარდების ჩაწოდებებით მომარაგება იყო, არამედ, ზე ფლეიმეიქერის პოზიციაზე თამაშობდა და თან წმინდა წყლის დირიჟორიც არ ყოფილა. "კიკერის" ბრაზილიელი კორესპონდენტი ზე რობერტოს სანტოსურ სეზონს ასე ახასიათებს: მას "სანტოსში" ახალი პოზიცია მოუძებნეს, ე.წ. თავისუფალი ფლეიმეიქერის პოზიცია. ზე უმეტეს წილად თავდამსხმელების უკან ირჯებოდა, მთელ რიგ მომენტებში მესამე ფორვარდის ფუნქციებს ასრულებდა და ამასთან, მარცხენა ფლანგზეც ხშირად გადადიოდა. ზე რობერტოს როლი "სანტოსში", თამამად შეგვიძლია, "მილანში" **კაკას** როლს მივამსგავსოთ. ახალ როლში ის "სანტოსს" 11 გოლითა და 6 საგოლე პასით (35 თამაშში) შეეწია.

არადა, "ბაიერნში" თამაშის დროს (2002-2006), **კლაუს ტოპმიოლერის** ყოფილი შეგირდი და ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი, ნახევრად მემარცხენე ნახევარმცველის პოზიციაზე ირჯებოდა. იყო შემთხვევები, როცა **ოტმარ ჰიტცფელდი** მას გამთამაშებლის პოზიციაზეც ათამაშებდა ხოლმე. საერთო ჯამში, "ბაიერნის" მაისურით მას 110 შეხვედრაში 5 გოლი აქვს გატანილი. ვერ ვიტყვით, რომ რეკორდმაისტერში გატარებული ის 4 წელიწადი ზესთვის კარიერის საუკეთესო პერიოდი იყო, რადგან ისე ვერ იბრწყინა, როგორც მისგან ელოდნენ, მაგრამ აი, **ჰიტცფელდს** კვლავ დასჭირდა და ის ისევ "ბაიერნშია". ზე რობერტო მზადაა, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ მეორე მიუნხენური ხანა გაცილებით წარმატებული გამოუვიდეს.

ერთი სიტყვით, "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ნამდვილად არ ცდება, როცა ამბობს, მარჯვენა ნახევარმცველის გარდა, ზეს მოედნის ცენტრში ნებისმიერი ფუნქციის შესრულება შეუძლიაო. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ჰიტცფელდი მის ადგილს საყრდენი შუამარბის პოზიციაზე, **მარკ ვან ბომელის** გვერდით ხედავს - ანუ, არა შეტევის მარცხენა ფლანგზე, სადაც **ფრანკ რიბერიმ** უნდა ითამაშოს (ესეც რუმენიგეს მოსაზრებაა).

აქვე გეტყვით, რომ "ბაიერნის" შეფებმა რიბერის ნება დართეს, 4 ივლისამდე დაისვენოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუერთდეს რეკორდმაისტერს. ეს მაშინ, როცა ბავარიული გრანდი შეკრებას 29 ივნისს იწყებს. ანუ, ჰონგ-კონგურ შეკრებაზე რიბერი ბოლოსლა ჩავა, ისევე, როგორც იტალიელი **ლუკა ტონი**, რომელმაც მცირე ოპერაცია გაიკეთა. *"მართალია, ტონი თავიდანვე სრული დატვირთვით ვერ ივარჯიშებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ გუნდთან ერთად გარკვეული პერიოდი უნდა დაყოს. ახალწვეულია და ეს ამიტომაცაა აუცილებელი,"* - აცხადებს ჰიტცფელდის თანაშემწე **მიხაელ ჰენკე**.

### ტრაპატონი: ტონი ბაიერნისთვის იდეალურია!

როცა **ჯოვანი ტრაპატონი** ფეხბურთზე გერმანულად ლაპარაკობს, მსმენელს გულიანად ეცინება, რადგან დიდი მაესტროს გერმანული იმდენად დამტვრეულია, რომ საერთოდ ვერაფერი რომ ვერ გაიგო, მაინც გაგეცინება. ეს ასეა, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ ამ კაცმა ფეხბურთი იცის, თანაც ძალიან მაგრად. 22 ტიტული მწვრთნელისთვის უკვე ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს - ტრაპმა ცოტა ხნის წინათ "ზალცბურგს" ავსტრიის ჩემპიონატი მოაგებინა და ამ გამარჯვებით თავისი გალერეა კიდევ უფრო გაამდიდრა. 68 წლის მაესტრომ იცის, რა სჭირდება გუნდს წარმატების მისაღწევად, იცის "ბაიერნის" ავან-ჩავანიც, რადგან რეკორდმაისტერსაც ორჯერ წვრთნიდა (1994/95 და 1996-98 წლებში). შესაბამისად, საინტერესოა, რას ფიქრობს "დიდი მაესტრო" იმ ტრანსფერებზე, "ბაიერნის" ხელმძღვანელებმა რომ გაჩარხეს.

*"ლუკა ტონი "ბაიერნისთვის" იდეალური ფეხბურთელია. ეს არის მოთამაშე, რომელიც მიუნხენურ გუნდს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. ტონი გამოცდილია, აქვს უტყუარი საგოლე ალღო, შესანიშნავად თამაშობს თავით და რაც მთავარია, სიმაღლის კვალობაზე საკმაოდ ტექნიკურიცაა. ეს არის კაცი, რომელსაც ყველაფერი აქვს, რაც ფეხბურთელს სჭირდება,"* - აცხადებს ტრაპატონი "მიუნხენერ თაგესცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე ამატებს, - *"არა მგონია, რომ ტონის ენის არცოდნის გამო პრობლემები შეექმნას - პირველ რიგში იმიტომ, რომ ის იტალიელია. თავად განსაჯეთ, როცა "ბაიერნში" პირველად დავინიშნე, გერმანულად ორიოდ სიტყვა ვიცოდი, მაგრამ წარმატებას მაინც მივაღწიე. ფეხბურთი უნივერსალური სპორტია, დიდ ფეხბურთელებს და დიდ მწვრთნელებს ენის არცოდნის გამო პრობლემები ფაქტობრივად არასდროს ექმნებათ."*

მაესტროს აზრით, ის, რომ "ბაიერნი" მომავალ სეზონში მხოლოდ უეფას თასზე იასპარეზებს დიდი გაუგებრობაა: *"ბაიერნი" ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად რჩება. იმის გამო, რომ რეკორდმაისტერი წელს მხოლოდ უეფას თასის საგზურს დასჯერდა, მიუნხენელებმა ტრაგედია არ უნდა შექმნან, რადგან ასეთი რამ დიდხანს აღარ მოხდება. ამაში დარწმუნებული ვარ!"* ამას გარდა, ტრაპი მიიჩნევს, რომ **ფელიქს მაგათის** გათავისუფლება და ჰიტცფელდის დაბრუნება ძალიან დროული და მართებული გადაწყვეტილება იყო, ხოლო კითხვაზე, მიიჩნევს თუ არა პრობლემად იმას, რომ ბავარიელებმა ტიპური გამთამაშებელი არ შეიძინეს, ჯოვანი ასე პასუხობს: *"თანამედროვე ფეხბურთში წმინდა წყლის ფლეიმეიქერი თითქმის აღარავის სჭირდება. ამ ფუნქციის შეთავსება დღეს საყრდენ ან ცენტრალურ ნახევარმცველს უნდა შეეძლოს. მაგალითად, ამ მხრივ იდეალურია ანდრეა პირლო. ასე განსაჯეთ, ტიპური გამთამაშებელი გუნდისთვის საშიშიც კია. "ჩელსის" ფლეიმეიქერი არ ჰყავს, არც "ლივერპულს" - გამთამაშებლის გუნდში ყოლა უბრალოდ რისკია, რადგან ზოგჯერ ასეთი დირიჟორები გუნდს წონასწორობას აკარგვინებენ!"*

**გოტფრიდ ლენცი**




ბერნდ შნაიდერი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# შნაიდერი რეალში?

## შუსტერს ლევერკუზენელი მადრიდში მიჰყავსო...

ესპანური და გერმანული საინფორმაციო საშუალებები ერთხმად იუწყებიან, რომ დიდი შანსია, ლევერკუზენის "ბაიერისა" და გერმანიის ნაკრების მარჯვენა ნახევარმცველი **ბერნდ შნაიდერი** მადრიდის "რეალში" გადავიდეს. გერმანული პრესის ცნობით, დაინიშნება თუ არა სამეფო გუნდის მთავარ მწვრთნელად **ბერნდ შუსტერი**, შნაიდერი მადრიდელთა ნომერ პირველი სამიზნე გახდება და ცხადია, რომ თუ ასე მოხდა, "რეალს" 33 წლის გერმანელი ფეხბურთელის ყიდვა არ გაუჭირდება.

*"დიახ, მეც გავიგე, რომ ჩემით "რეალი" დაინტერესდა. თუ ეს სიმართლეა, ცხადია, მადრიდში გადასვლაზე უარს არ ვიტყვი,"* - აცხადებს შნაიდერი "კიოლნერ ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში. *"რეალს" ზუსტად ისეთი ფეხბურთელი აკლია, როგორიც შნაიდერია - მეომარი, დაუნდობელი და მუდამ შემართული ნახევარმცველი!"* - ეს კი თვითონ შუსტერის სიტყვები გახლავთ.

ბერნდ შნაიდერს ბუნდესლიგაში 280 მატჩი აქვს ჩატარებული. გასულ სეზონში ის გერმანიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. ერთი სიტყვით, დიდი შანსია, რომ 34-ე ტურში დორტმუნდის "ბორუსიის" წინააღმდეგ ჩატარებული მატჩი, ბერნდის ლევერკუზენულ კარიერაში უკანასკნელი გამოდგეს. შეგახსენებთ, რომ "რეალში" დღემდე მხოლოდ 5 გერმანელს უთამაშია. ესენი იყვნენ: **გიუნტერ ნეტცერი** (1974-76), **პაულ ბრაიტნერი** (1974-77), **ული შტილიკე** (1977-85), **ბერნდ შუსტერი** (1980-90) და **ბოდო ილგნერი** (1996-2001). მომავალი სეზონიდან სამეფო გუნდის მაისურას **კრისტოფ მეტცელდერი** მოირგებს და "რეალის" ისტორიაში მე-6 გერმანელი მოთამაშე გახდება.




კაკა

დაპირისპირება

# არ გრცხვენიათ?!

## მილანი ნერვიულობს, ესპანელები კაკას რეალში ხედავენ

"მილანი" ესპანურმა პრესამ ალაშფოთა. პოპულარულმა გამოცემა AS-მა დაბეჭდა **კაკას** ფოტო, რომელიც ჩვეულებრივი მონტაჟია, თუმც პროვოკაციის სუნი ასდის. როგორც ჩანს, გაზეთს სურდა, ეჩვენებინა, თუ როგორ პოზირებს კაკა ვითომ "რეალის" ოფისის ფონზე, ხოლო ხელთ უპყრია AS-ის ნომერი, რომლის პირველ გვერდზე გამოტანილია მოზეიმე მადრიდელთა ფოტო. დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ეს მართლაც ფოტომონტაჟია, რადგან მთლიანად სურათის ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე მისი ერთი ელემენტისა - ეს არის გაზეთი, რომელიც კაკას უჭირავს (დააკვირდით. ვისაც გაზეთში უმუშავია, ის ამას მარტივად მიხვდება). მაგრამ "მილანმა" გამოცემა სხვა გზით გამოიჭირა ტყუილში. აი, რას ვკითხულობთ წერილში, რომელიც იტალიური კლუბის ოფისიდან მადრიდული გაზეთის რედაქციაში აფრინეს:

*"ეს არის აშკარა ფოტომონტაჟი, რადგან შეგვიძლია დაგარწმუნოთ, რომ კაკამ ეს სურათი გადაიღო "მილანელოს" საწვრთნელ ცენტრში, აპრილის შუა რიცხვებში. შესაბამისად, კაკას მაშინ არ შეეძლო, სჭეროდა გაზეთი, რომლის პირველ გვერდზე არის სათაური "ლიგის ჩემპიონები". საერთოდ, ფოტომონტაჟი უწყინარი რამაა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს არის გაგრძელება იმ აშკარად არაკორექტული საქციელისა, რაც უკვე ერთი წელიწადია გრძელდება "რეალის" მხრიდან. აქ მიზანი ერთია - გაფუჭდეს ურთიერთობა "მილანსა" და ფეხბურთელს შორის. გარდა ამისა, ამ ფოტოთი უნდა ეჩვენებინათ მკითხველისთვის, რომ კაკას ერთი სული აქვს, სანამ "რეალში" გადავა. ამას სიმართლესთან არანაირი კავშირი არ აქვს, რაც კლუბმაც და თავად ფეხბურთელმაც არაერთხელ განაცხადეს".*

გაზეთმა პასუხი არ დააყოვნა. რედაქცია არ უარყოფს, რომ კაკას ფოტო მართლაც ძველია და გადაღებულია 4 მაისს, ხოლო ფოტომონტაჟის მიზანი იყო, ეჩვენებინა, თითქოს კაკა თავის ბრაზილიელ თანამემამულეებს ჩემპიონობას ულოცავს.

*"მილანელთა რეაქცია იმის მანიშნებელია, რომ ისინი ძალიან ნერვიულობენ, რაკი ეშინიათ, რომ კაკა შეიძლება მართლაც ჩამოვიდეს მადრიდში"* - დასძენს გაზეთი.

ტრანსფერი ჩაშლის პირას

# ჰილდებრანდი და ვალენსია არ გამოდის!

თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი ჩაშლის პირასაა მისული - გერმანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დიდი შანსია, რომ "შტუტგარტისა" და გერმანიის ნაკრების კარის დარაჯი **ტიმო ჰილდებრანდი** "ვალენსიაში" ვერ გადავიდეს. არადა, თითქმის ყველაფერი გარკვეული იყო - 28 წლის მეკარემ ვალენსიაში სახლიც კი იპოვა. *"გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ, თითქმის ყველაფერი გარკვეული იყო, ახლა კი ცხადი ხდება, რომ შესაძლოა, ტრანსფერი ჩაიშალოს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ისაა, რომ ვალენსიიდან ზარს ყოველ წუთს ველოდები, მაგრამ არავინ მირეკავს!"* - ამბობს ჰილდებრანდი.

საქმე ისაა, რომ "ვალენსიის" მენეჯერ **ამადეო კარბონის** კლუბის ხელმძღვანელებთან და მთავარ მწვრთნელ **კიკე სანჩეს ფლორესთან** უთანხმოება მოუვიდა და გუნდიდან აბარგება უწევს. და ჰილდებრანდის "ვალენსიაში" გადაყვანა სწორედ ამ უკანასკნელის იდეაა. თუ ტრანსფერი არ შედგა, ჰილდებრანდი ძალიან სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდება - უგუნდოდ! არადა, "შტუტგარტის" ბოსები მას ჯერ კიდევ იანვარში სთავაზობდნენ ახალი კონტრაქტის გაფორმებას, რაზეც ტიმომ უარი თქვა. მაშინ არ იცოდა, რომ შვაბები გერმანიის ჩემპიონები გახდებოდნენ და ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებდნენ. ახლა კი,



ტიმო ჰილდებრანდი

ისე გამოდის, რომ უგუნდოდ რჩება. ცხადია, მას თავისუფალ აგენტად დიდხანს არავინ გააჩერებს, რადგან კარგი მეკარეა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თუ "ვალენსია" მართლაც ჩაეშალა, "შტუტგარტზე" უკეთეს გუნდში მოწყობა გაუჭირდება.

ინტერვიუ ბერნდ შუსტერთან

# რეალის ღირებულებებზე ბარსელონელებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ

## გერმანელი სპეციალისტი დღემდე კატალონიური გრანდის წევრია, თუმცა მანდატს უახლოეს დღეებში გაუუქმებენ...

გუშინ ბერნდ შუსტერმა მადრიდულ რადიო "კადერნა სერს" ინტერვიუ მისცა. გერმანელმა სპეციალისტმა რამონ კალდერონთან წინასწარი კონტრაქტის გაფორმების ფაქტი არ უარყო, თუმცა "ხეტაფეს" დამრიგებელმა სამეფო თასის ფინალის მიჯნაზე "რეალთან" დაკავშირებულ კითხვებს უპრობლემოდ უპასუხა. არადა, წესით სხვა გუნდის თავკაცი, სხვა კლუბზე არ უნდა საუბრობდეს. მით უმეტეს, ფინალის წინ. ჩვენს ესპანელ კოლეგებს ტყუილად არ უთქვამთ, ჰერ შუსტერი ისე გველაპარაკებოდა, თითქოს უკვე სამეფო კლუბის თავკაციაო.

**- ჰერ შუსტერ, რა არის უფრო დიდ ემოციებთან დაკავშირებული, ესპანეთის სამეფო თასის ფინალი, თუ მადრიდის "რეალში" მუშაობის სერიოზული პერსპექტივა?**

- ჯერჯერობით, ფინალი. ესპანეთის თასის ფინალში გასვლა "ხეტაფესთვის" დიდი წარმატებაა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჯილდო მოვიპოვოთ. მჯერა, ჩემი შეგირდები ბოლომდე იბრძოლებენ და ყველას გაახარებენ.

**- თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენი სახელი და გვარი გაზეთების პირველი გვერდებიდან არ ჩამოდის. საინტერესოა, ამ პირობებში ფინალისთვის მზადებას როგორ ახერხებთ?**

- აჟიოტაჟი ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ხელი ოდნავადაც არ მეშლება. ფინალამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი და დარწმუნებული გახლავართ, სიმშვიდეს ვერაფერი დაგვირღვევს. ნაყოფიერად ვიმუშავებთ და აუცილებლად გავიმარჯვებთ. სირთულეებს დიდი ხანია შევეგუე.

**- "ხეტაფეს" ფეხბურთელები მათი მწვრთნელის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს როგორ აფასებენ?**

- არ მგონია, ისინი იმაზე ფიქრობდნენ, დღევანდელი მთავარი მწვრთნელი მომავალ წელსაც დარჩება, თუ არა. რა სისულელეა! ბიჭების ერთადერთი საზრუნავი, ფინალისთვის კარგად მომზადებაა. ასე რომ, აჟიოტაჟი არც მათ უშლის ხელს. დარწმუნებული გახლავართ, "ხეტაფეს" ფეხბურთელები არა ბერნდ შუსტერის, არამედ საკუთარ მომავალზე ფიქრობენ. თუ თასს მოიპოვებენ, ყველა პირობა ექნებათ იმისთვის, რომ ხელფასის გაზრდა მოითხოვონ.

**- "დიარიო ასის" ერთ-ერთი ბოლო ნომრის პირველ გვერდზე თქვენი გრანდიოზული ფოტოს ფონზე ეწერა, შუსტერი "რეალის" მწვრთნელი გახდებაო. მოგეწონათ ეს ყველაფერი?**

- არა, რადგან იმ ფოტოზე გაუპარსავი ვიყავი (იცინის). მოწესრიგებული და გაპარსული გაცილებით სიმპათიური ვარ. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, რომ "დიარიო ასის" პირველ გვერდზე მოვხვდი.

**- რატომ გაგიკვირდათ, ადრეც ყოფილხართ...**

- ჰო, მაგრამ ამხელა ფოტო პირველად დაბეჭდეს. წარმოგიდგენიათ, მთელი გვერდი მე დამითმეს.

**- მართალია, რომ "ბარსელონის" სოსიო ხართ?**

- ჯერჯერობით, თუმცა დაზუსტებით ვიცი, რომ "ბარსას" ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში გუნდის საზოგადოების წევრის მანდატს გამიუქმებს.

**- შემთხვევით, "რეალის" სოსიოც ხომ არ ბრძანდებით?**

- არა, მაგრამ მოთხოვნა უკვე დიდი ხანია გაგზავნილი მაქვს. მოგეხსენებათ, ზოგი წლობით დგას რიგში. იმედია, მალე დამაკმაყოფილებენ.

**- "ბარსელონასთან" კონტრაქტის გაფორმებისას კატალონიურ გრანდზე რა იცოდით?**

- თითქმის არაფერი. 20 წლის გახლდით. ხელშეკრულება გავაფორმე და მაისურა მოვირგე. ქალაქზე წარმოდგენა არ მქონდა. რუკით დავდიოდი. მახსოვს, ჩემს ტრანსფერს ბევრი უკიდურესად სკეპტიკურად შეხვდა. მე მხოლოდ ფეხბურთის თამაში ვიცოდი. არც ესპანურად ვლაპარაკობდი და არც კატალონიურად. თამაში დავიწყე და ყველა სკეპტიკოსს მოვაკეტინე.

**- "რეალში" გადაბარგებას როგორღა გაიხსენებთ?**

- მადრიდში სრულიად განსხვავებული სიტუაცია იყო. სამეფო კლუბში ის ღირებულებები დავინახე, რომელიც "ბარსელონას" გაგონილიც არ ჰქონდა. "რეალმა" ბევრად უფრო მოტივირებული გამხადა. პროფესიონალიზმიც შემემატა. ისე კი მადრიდში გარკვეული წესებიც არსებობდა. წესები, რომლის წინააღმდეგაც ვერავინ წავიდოდა. კარგად მახსოვს, პირველივე დღეს გალიეგო და კამაჩო მომიახლოვდნენ და მითხრეს: "გერმანელო, ფრთხილად იყავი, კისერი არ მოიმტვრიო. აქ დიდი ხნის წესებია დანერგილი და ისინი ზედმიწევნით კარგად უნდა დაიცვაო.

**- სამეფო კლუბმა რა გასწავლათ?**

- ვისწავლე როგორ უნდა გავმხდარიყავი ევროპელი ფეხბურთელი. "ბარსელონაში" აბსოლუტურად არაფერზე ვფიქრობდი და იმას ვაკეთებდი, რაც თავად მსურდა. "რეალში" კი პირველივე წამს ამიხსნეს, რომ ასე ველარ გავაგრძელებდი. გულწრფელად რომ გითხრათ, თავიდან არ მესიამოვნა. თითქოს კომფორტულად ვერ ვგრძნობდი თავს, მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ მართლები იყვნენ. შედეგად გალიეგოსთან ურთიერთობაც მოგვარდა. არადა, მანამდე სულ ვჩხუბობდით. ზოგჯერ მთელი სტადიონის დასანახადაც ვუპირისპირდებოდით და ვაფურთხებდით ერთმანეთს.

**- სამწვრთნელო კარიერის დაწყების შემდეგ არაერთხელ გითქვამთ, რომ "რეალის" ან "ბარსელონის" გაწვრთნა გსურთ. ყოველთვის ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ "ბარსაში" მუშაობის დაწყება უფრო მოსალოდნელი იყო...**

- მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ არ დამიძახეს. მათთვის უარესი (იცინის). რაც არ უნდა ძლიერი ფეხბურთელი იყო, მწვრთნელის ამპლუაში ყველაფერი თავიდან უნდა დაამტკიცო. ვისაც ჩემს შესაძლებლობებში ეჭვი შექონდა, ან ახლაც შეაქვს მწარედ ინანებს.

**- "ბარსელონას" აღარასოდეს გაწვრთნით?**

- თუ "რეალში" დავინიშნები, ვეჭვობ, "ბარსას" კარს სამუდამოდ ჩამიკეტავენ. ალბათ, ეს ნორმალურიცაა.

**- სამეფო კლუბიდან რა ინფორმაციებს ფლობთ?**

- აგერ უკვე ორი წელიწადია ყოველ დღე ვკითხულობ, რომ მადრიდის "რეალის" მთავარ მწვრთნელად ვინიშნები. უფრო ხელჩასაჭიდ ინფორმაციას არ ვფლობ. რაიმე კონკრეტული რომ ვიცოდე, კლუბის სამზარეულოში უნდა ტრიალებდე.

**- კალდერონთან წინასწარი კონტრაქტი არ გაგიფორმებიათ?**

- არა.

**- დავიჯეროთ?**

- მაშინ სრულ პასუხს გაგცემთ. არა, რამონ კალდერონთან წინასწარი კონტრაქტი არ გამიფორმებია.

**- დაზუსტებით ვიცი, რომ კალდერონს თქვენი დანიშვნა ჯერ კიდევ გასული სეზონის დაწყების წინ სურდა, მაგრამ ბრძოლა მიატოვიჩმა მოიგო და კაპელო ჩაიყვანა. როგორ ფიქრობთ, გალაქტიკოების გარეშე დარჩენილი სამეფო კლუბის გაწვრთნა უფრო იოლი იქნება?**

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ შარშან კალდერონთან მოლაპარაკებებს მართლაც ვაწარმოებდი. მე მას გულწრფელად ვუთხარი, "რეალში" უმძიმესი სიტუაციაა. ფეხბურთელებს თავში აქვთ ავარდნილი და იდიოტებს ჰგვანან-მეთქი. გაიხსენეთ, რამხელა ხელფასებს იღებდნენ და სანაცვლოდ რა სისულელეებს აკეთებდნენ. პრეზიდენტისთვის არ დამიმალავს, თუ ჩემთან თანამშრომლობა გსურთ, ბევრი რალაცის შეცვლა გმართებთ-მეთქი. როგორც ჩანს, პრეზიდენტმა და გენერალურმა დირექტორმა ბევრი იფიქრეს და საბოლოოდ, გამოცდილების გამო ფაბიო კაპელოზე შეაჩერეს არჩევანი. დიახ, კალდერონს ჩემი წაყვანა სურდა, მაგრამ მიატოვიჩმა თავისი გაიტანა. პრედრაგს მიაჩნდა, რომ ფაბიო სირთულეებს მოაგვარებდა და მრავალწლიანი წარუმატებლობების შემდეგ გუნდს ტიტულს მოუტანდა. როგორც ხედავთ, ასეც მოხდა. კაპელომ შესანიშნავად იმუშავა. მან სირთულეები უმოკლეს დროში მოაგვარა და "რეალი" სიბელესამდე მიიყვანა. ახლა, სამეფო კლუბის გაწვრთნა, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო სასიამოვნოა. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელს მხოლოდ ფეხბურთზე საუბარი მოუწევს და მოთამაშეებთან ძველბიჭური გარჩევები აღარ დასჭირდება.

**- "რეალი" უკანასკნელმა გალაქტიკომაც დატოვა. ბექჰემი ამერიკაში წავიდა. ბერნდ შუსტერს ინგლისელის გარეშე "ბერნაბეუზე" ნაკლები პრობლემა შეექმნება?**

- ბექჰემი ლოს ანჯელესში საშინელი მოწყენილობით დაიტანჯება. თავისუფლად შეეძლო, სამეფო კლუბში კიდევ ორი, ან სამი წელი დარჩენილიყო. დასანანია, რომ დევიდი წავიდა.

**- გაბრიელ მილიტოს გადაბირება მიატოვიჩისთვის თქვენ ხომ არ გითხოვიათ?**

- მილიტომ "სარაგოსაში გატარებული სეზონებით აბსოლუტურად მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ უდიდესი ცენტრალური მცველია. როგორც ვიცით, თავის დროზე ევროპაში ის სწორედ "რეალის" ხელმძღვანელებმა ჩამოიყვანეს, მაგრამ შემდეგ უსიამოვნო გაუგებრობა მოხდა და არგენტინელი "სარაგოსაში" აღმოჩნდა. ახლა გაბის სახელი ისევ ამოტივტივდა. წავიკითხე, რომ მისი გადაბირება სურთ. ჩემი აზრით, შესანიშნავი სურვილია, მაგრამ მერწმუნეთ, ამ საქმეში მე არაფერ შუაში ვარ.

**- აცნობიერებთ, რომ სამეფო კლუბის შეფები და გულშემატკივრები სერიოზულ მოთხოვნებს წამოგიყენებენ? მათ მხოლოდ გამარჯვება არ დააკმაყოფილებთ და ლამაზ ფეხბურთსაც მოგთხოვენ. მზად ხართ ამისთვის?**

- ყველამ კარგად იცის, როგორ თამაშობდნენ ჩემი გუნდები. თუ "ლევანტე" "ხერესი" და "ხეტაფე" ძალიან ლამაზად თამაშობდნენ, "რეალში" რატომ უნდა გამიჭირდეს? გგონიათ, ფეხბურთი არ მესმის?

**- როგორ გგონიათ, კრისტოფ მეტცელდერი "რეალისთვის" გამოსადეგი ფეხბურთელია?**

- ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად კორეისა და იაპონიის მუნდიალზე ათამაშეს. მისი დახმარებით გერმანიის ნაკრები ფინალში გავიდა. შემდეგ კრისტოფს ტრავმებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეექმნა. ალბათ, უიღბლობა დასჩემდა. ერთ ტრავმას მოირჩენდა თუ არა, სხვას იღებდა და ლაზარეთში ბრუნდებოდა. თუ მეტცელდერი სამეფო კლუბში სრულიად ჯანმრთელი ჩავა, დარწმუნებული ვარ, ძალიან დიდ სამუშაოს შეასრულებს.

**- კაკა, თუ კრისტიანო რონალდო?**



ბერნდ შუსტერი ფაბიო კაპელოს მემკვიდრეობის მისაღებად ემზადება

- კაკა უფრო მრავალფუნქციური ფეხბურთელია. კრისტიანო რონალდო კი ფლანგის მეფეა. მას ორივე ფრთაზე შუძლია თამაში. კრისტიანო სხვა ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. ჩემი აზრით, კაკა უფრო ძლიერი მოთამაშეა.

**- თქვენც ფიქრობთ, რომ თუ რკინის სერჟანტი არ ხარ, მადრიდელი სისხლიანი ხარები არ გაგახარებენ? მოკლედ, იმისათვის, რომ სამეფო კლუბის ვარსკვლავების პატივისცემა დაიმსახურო, სიმკაცრეა საჭირო?**

- მწვრთნელმა ნებისმიერ შემთხვევაში იმისთვის უნდა იბრძოლოს, რომ პატივისცემით მოეკიდონ. თუ დღეს დაფასებული ხარ და მოწიწების გარეშე ვერც ერთი შეგირდი ვერ გიბედავს ხმის გაცემას, მაინც არ უნდა დაკმაყოფილდე, რადგან ერთი დღის შემდეგ შეიძლება, კიდევ უფრო მეტად პატივსაცემი პიროვნება გახდე. ზოგადად ეგრეთ წოდებულ მადრიდიზმს რაც შეეხება, ჩემს ეპოქასთან შედარებით თითქმის ყველაფერი შეიცვალა. ადრე ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ სამ უცხოელს შეეძლო თამაში. ახლა კი პირიქით ხდება, სამი ადგილობრივი თუა მოედანზე გულშემატკივრებს ძალიან უხარიათ. ყველაზე რთული პრობლემა მაშინ იწყება, როცა უცხოელი ვარსკვლავები ესპანელ თანაგუნდელებს რაღაცებს უბრძანებენ და მათზე გაბატონებას ცდილობენ. არადა, უცხოელები სხვა ქვეყნებიდან მოდიან. მათ რა იციან, რა არის მადრიდიზმი? სხვა თუ არ აუხსნის, ვერაფერს გაიგებენ. ესპანელებს კი ეს ყველაფერი ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. განა ვინმეს ვაკნინებ? მეც უცხოელი გახლდით და მეც დამჭირდა ახსნა-განმარტებები, მაგრამ ვიმეორებ, მაშინ სამ ლეგიონერზე მეტის ყოლის უფლება არავის ჰქონდა. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით პრობლემაც ნაკლები იყო.

**- როგორ ფიქრობთ, ესპანეთში "რეალს" უფრო მეტი ქომაგი ჰყავს, თუ "ბარსელონას"?**

- რა თქმა უნდა, "რეალს". ინჩასები "ბარსასაც" მრავლად ჰყავს, მაგრამ სამეფო კლუბს ვერ შეედრება. "რეალი" ესპანეთის სიმბოლოა.

**- თქვენი აზრით, "რეალს" ახლა ყველაზე მეტად რა არ სჭირდება?**

- ერთ უცნაურობას მოგახსენებთ: სხვა მწვრთნელი (იცინის).

**- რაული დიდი ავტორიტეტის მქონე ფეხბურთელია. ის ხშირად კამათობს, კითხვებს სვამს... თითქოს ყველაფრის უფლება აქვს. როგორ გგონიათ, გუნდისთვის რა უფრო კარგი იქნება, კაპიტნის წასვლა, თუ დარჩენა?**

- რაულზე საუბრისას აშკარად აჭარბებთ. ის უდიდესი მადრიდისტაა. "რეალი" მისი გუნდია და როგორც ვიცი, ოცნებობს კარიერა "ბერნაბეუზე" დაასრულოს. იგივეა, რაც მალდინი "მილანისთვის". სამწუხაროდ, სხვადასხვა მწვრთნელის ხელში გონსალეს ბლანკო ძალიან ბევრს იტანჯებოდა. განა აქ რაიმე სადავოა? რაული ხომ ცენტრფორვარდია. ზუსტად ისეთი, როგორიც ემილიო ბუტრაგენიო გახლდათ. თუ რაულს ფლანგზე, ნახევარდაცვაში ან უკანა ხაზზე გადაიყვან, რა თქმა უნდა, ეფექტურობას დაკარგავს... მაგრამ ეს არა თავად ფეხბურთელის, არამედ მწვრთნელის ბრალი იქნება.

**- ტრანსფერებში აქტიურად ერევით?**

- "ხეტაფეში" თითქმის ყველა ფეხბურთელი პრეზიდენტმა ტორესმა ერთპიროვნულად გადმოიბირა. არ მოგატყუებთ, ეს არ მიქმნის პრობლემას. მე მხოლოდ სელესტინის ყიდვა მოვითხოვე. მაგალითად, რობერტო აბონდანსიერი სენიორ ტორესმა ჩემს უკითხავად ჩამოიყვანა. განა რა უნდა მქონოდა საწინააღმდეგო? ჩემი აზრით, "პატო" მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა.

**- თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ეტოოს "ბერნაბეუზე" ხომ არ ჩაიყვანდით? სხვათა შორის, მას ხშირად გადარებენ...**

- რატომ, რადგან ორივეს გვაქვს "რეალსა" და "ბარსელონაში" ნათამაშები? ეს არასწორი შედარებაა. ეტოოს ადამიანგოლს ვუწოდებდი. წარმოუდგენელია, ლაპორტამ ის "რეალს" მიჰყიდოს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### კაპაროსმა დეპორტივო დატოვა და ბილბაოს მიუახლოვდა

**ხოაკინ კაპაროსმა** გუშინდელ გაზეთებში გავრცელებული ინფორმაცია დაადასტურა. მან "დეპორტივო" დატოვა. ლა კორუნიიდან აბარგებამდე სევილიელმა მწვრთნელმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა: *"პრეზიდენტსა და გენერალურ დირექტორთან შეხვედრის შემდეგ გადავწყვიტე, "დეპორტივოდან" წავსულიყავი. სამწუხაროდ, გუნდში არაჯანსაღი სიტუაციაა შექმნილი. რა თქმა უნდა, როგორც მწვრთნელი, ვაღიარებ, რომ პასუხისმგებლობა მე მეკისრება, მაგრამ სხვის მიერ დაშვებულ შეცდომებზეც ვერ ვაგებ პასუხს. "დეპორტივოს" ფეხბურთელებს მოტივაცია და ენთუზიაზმი აკლიათ. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ხელმძღვანელობა არასწორად მუშაობს. მოკლედ, მე მივდივარ და ყოფილ გუნდს ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. როგორც გავიგე, ჩემ ნაცვლად მიგელ ანხელ ლოტინა იმუშავებს. იმედია, მას უფრო მეტად დაეხმარებიან."*

გუშინვე ითქვა, რომ კაპაროსი "ბილბაოს" ხელმძღვანელობასთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. ბასკურ კლუბთან დაახლოებული წყაროების ცნობით, შეთანხმება თითქმის მიღწეულია.

### ტევესი, რეალის მესამე ალტერნატივა

**პრედრაგ მიატოვიჩმა** პრეტემპორადის დაწყებამდე ძალიან ბევრი საქმე უნდა მოასწროს. სამეფო კლუბის გენერალურ დირექტორს თვენახევარი აქვს იმისთვის, რომ ახალი ფეხბურთელები გადმოიბიროს. როგორც იცით, "რეალისთვის" ყველაზე სასურველი მოთამაშე **კაკაა**. ისიც ყველას მოგვეხსენება, რომ "მილანი" უნიჭიერესი ბრაზილიელის გაყიდვას არ აპირებს. პირიქით, **სილვიო ბერლუსკონი** კაკას თვალისჩინივით უფრთხილდება. მეორე ვარიანტად მიატოვიჩი **კრისტიანო რონალდოს** განიხილავს. ჩერნოგორიელს პრობლემები ამ მიმართულებითაც არ მოაკლდება. "მანჩესტერმა" პორტუგალიელს კონტრაქტი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ გაუგრძელა. შესაბამისად, კრისტიანო ახლა გაცილებით უფრო ძვირი ღირს. იმ შემთხვევაში, თუ პედია ვერც კაკას ჩაიგდებს ხელში და რონალდოც მიუწვდომელი დარჩება, სამეფო კლუბი **კარლოს ტევესს** შეიძენს. აღნიშნული ინფორმაცია "რეალის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

### გვარდიოლა ბარსაში დაბრუნდა

**ხოან ლაპორტამ** "ბარსელონის" საყვარელი შვილი გუნდში დააბრუნა. საქმე **პეპ გვარიოლას** ეხება. კატალონიური გიგანტის ყოფილი კაპიტანი პრეზიდენტმა მეორე გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნა. ამ ამბავს საგანგებო პრესკონფერენცია მიეძღვნა. პეპი როგორც ყოველთვის თავმდაბალი გახლდათ: *"ისეთი ფეხბურთელი ვიყავი, როგორიც ვიყავი. ყველა ხედავდა როგორც ვთამაშობდი. აი, მწვრთნელად კი არასოდეს მიმუშავია. არასოდეს არავის დაურეკავს და უთქვამს, მოდი ჩვენი გუნდი ჩაიბარეო. სენიორ ლაპორტას დიდად ვემადლიერები. მან ჩინებული შანსი მომცა იმისთვის, რომ საკუთარი შესაძლებლობები გამოვცადო? ჯერ საკუთარ თავს, შემდეგ კი სხვებს უნდა დავუმტკიცო, რომ გუნდის გაძღოლა შემიძლია. ვნახოთ, როგორ ვიმუშავებ. იმედია, იღბალი არ გამწირავს."*

კატალონიური გრანდის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით "ბარსელონა B-ს" სეგუნდა დივიზიონში ასპარეზობის უფლებისთვის თანხა არ გადაიხადეს, ამიტომ გვარდიოლას ბიჭები მომავალ სეზონში მესამე დივიზიონში ითამაშებენ. პრინციპში, დამწყები მწვრთნელისთვის სულაც არ არის ცუდი ვარიანტი.

ბუნდესლიგის რეიტინგები

# კიკერმა წიწილები დაითვალა!

## სამწუხაროდ, ლევან კობიაშვილის ადგილი საშუალო დონის ფეხბურთელებშიც კი არ მოიძებნა...

**გერმანული** სპორტული გამოცემა "კიკერი" ყოველ ზაფხულს, ივნისის თვეში, ტრადიციულად, დასრულებული სეზონის დიდ რეიტინგს აქვეყნებს. ეს არ გახლავთ ფეხბურთელთა შეფასებების მიხედვით, ან მხოლოდ მშრალი სტატისტიკით შემდგარი რეიტინგი. როცა სეზონი მთავრდება, "კიკერის" მთელი რედაქცია იკრიბება და აბსოლუტურად ყველა ჟურნალისტი მონაწილეობას იღებს დისკუსიაში, რომელმაც სეზონის საუკეთესო მოთამაშეები (პოზიციების მიხედვით) უნდა გამოავლინოს. რეიტინგი დგება თითოეული პოზიციის მიხედვით: მეკარეები, ფლანგის მცველები, ცენტრალური მცველები, ფლანგის ნახევარმცველები, საყრდენი ნახევარმცველები, შემტევი ნახევარმცველები და თავდამსხმელები. თითოეულ პოზიციაზე ფეხბურთელები 4 დონეზე ნაწილდებიან: მსოფლიო კლასი, საერთაშორისო კლასი, კარგი დონე და საშუალო დონე. შეგახსენებთ, რომ ეს არის მხოლოდ ერთი, გასული სეზონის მიხედვით შედგენილი რეიტინგი. ანუ, ვინც როგორ ითამაშა ამ სეზონში, შესაბამისად იმ დონეზე იქნება. აღსანიშნავია ის, რომ წელს ბუნდესლიგის ვერცერთმა ფეხბურთელმა ვერ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო კლასის დონეზე. და კიდევ: სამწუხაროდ, "შალკეს" ქართველი ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი არც ფლანგის ნახევარმცველებში და არც საყრდენებში არცერთ დონეზე არაა მოხსენიებული - საშუალო დონის ფეხბურთელებშიც კი. ეს არცაა გასაკვირი, რადგან კობის არცთუ კარგი სეზონი ჰქონდა. მოდით, გავეცნოთ, "კიკერის" რედაქციის აზრით, ვინ რისი მაქნისი იყო ამ სეზონში.

### მეკარეები

გოლკიპერებიდან, აბსოლუტურად ყველა ჟურნალისტმა საუკეთესოდ "შალკეს" კარის დარაჯი **მანუელ ნოიერი** აღიარა. 21 წლის მეკარემ, რომელმაც შუა სეზონში გამოცდილ **ფრანკ როსტს** გელზენკირხენული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დააკარგვინა და მერე კი იძულებული გახადა, რომ გუნდი გამოეცვალა ("ჰამბურგში" გადავიდა), მასზე გაცემული ავანსები გაამართლა და უდიდესი წვლილი შეიტანა იმაში, რომ "ხუმარებმა" ბოლო ტურამდე ჩემპიონობისთვის იბრძოლეს. ნოიერის კერპი, გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე **იენს ლემანი** ამბობს: *"მანუელს ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს. მეტიც, ის უკვე დიდი მეკარეა!"*

ნოიერთან ერთად, საერთაშორისო კლასში მოხვდა კიდევ ერთი ახალგაზრდა გოლკიპერი, რომელიც ასევე შუა სეზონში გამოჩნდა. საუბარია "ლევერკუზენის" კარის დარაჯ **რენე ადლერზე**, რომელმაც ძირითადი შემადგენლობიდან **ჰანს-იორგ ბუტი** ამოაგდო და იმდენად კარგი მატჩები ჩაატარა, რომ მთელი გერმანია აალაპარაკა. ნოიერისა და ადლერის სახით გერმანიას ორი ძლიერი გოლკიპერი ეზრდება. მათთან ერთად საუკეთესო ხუთეულში ჩემპიონი **ტიმო ჰილდებრანდი, ოლივერ კანი** და **რობერტ ენკე** მოხვდნენ.

**მსოფლიო კლასი**

არავინ

**საერთაშორისო კლასი**

| მეკარე | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 1. მანუელ ნოიერი | შალკე | 21 |
| 2. ტიმო ჰილდებრანდი | შტუტგარტი | 28 |
| 3. ოლივერ კანი | ბაიერნი | 37 |
| 4. რენე ადლერი | ლევერკუზენი | 22 |
| 5. რობერტ ენკე | ჰანოვერი | 29 |

**კარგი დონე**

| მეკარე | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 6. იაროსლავ დროზნი | ბოხუმი | 27 |
| 7. ტიმ ვიზე | ვერდერი | 25 |
| 8. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 28 |
| 9. ფრანკ როსტი | ჰამბურგი | 33 |
| 10. შტეფან შტრაუზი | ალემანია | 36 |
| 11. დიმო ვახე | მაინცი | 33 |
| 12. კეისი კელერი | ბორუსია (მ) | 37 |

**საშუალო დონე**

| მეკარე | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 13. კრისტიან ფიდლერი | ჰერტა | 32 |
| 14. მათიას ჰაინი | არმინია | 34 |
| 15. სიმონ იენტცში | ვოლფსბურგი | 31 |
| 16. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 26 |

### ცენტრალური მცველები

"კიკერის" ჟურნალისტებს დიდხანს არც ამ პოზიციაზე უდავიათ: საუკეთესო მცველად ყველამ ერთხმად **მარსელო ბორდონი** დაასახელა. "შალკეს" კაპიტანი მთელი სეზონის განმავლობაში გამორჩეული ფიგურა იყო და ნოიერის დარად, მანაც ლომის წილი დაიდო იმაში, რომ გელზენკირხენულმა კლუბმა მეორე ადგილი დაიკავა. თუმცა ბორდონის შემართება გასაჩემპიონებლად საკმარისი არ აღმოჩნდა - "შალკეს", როგორც ყოველთვის, რაღაც დააკლდა. "ხუმარების" გენერალური მენეჯერის, **ანდრეას მიულერის** თქმით, ბორდონმა მთელ გუნდს გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩამოუყალიბა და ყველაზე მძიმე მომენტებშიც კი თანაგუნდელებს ბრძოლისკენ მოუწოდებდა.

ბრაზილიელთან ერთად საუკეთესოა **პერ მერტეზაკერიც**, "ვერდერის" დაცვის ბურჯი, რომელიც სეზონის მიწურულს დაშავდა და ბოლო 5 კვირა ლაზარეთში გაატარა. მერტეს არყოფნა ბრემენელ "მუსიკოსებს" ძალიან დაეტყოთ. მე-3 და მე-4 ადგილებზე "შტუტგარტის" ცენტრალური მცველები, **მატიო დელპიერი** და კაპიტანი **ფერნანდო მეირა** გავიდნენ.

**მსოფლიო კლასი**

არავინ

**საერთაშორისო კლასი**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 1. მარსელო ბორდონი | შალკე | 31 |
| 2. პერ მერტეზაკერი | ვერდერი | 22 |
| 3. მატიო დელპიერი | შტუტგარტი | 26 |
| 4. ფერნანდო მეირა | შტუტგარტი | 28 |

**კარგი დონე**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 5. ანდრეას ვოლფი | ნიურნბერგი | 24 |
| 6. ნალდო | ვერდერი | 24 |

**საშუალო დონე**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 7. მარკუს ბრჟენსკა | ბორუსია (დ) | 23 |
| 8. ფრანკ ფარენჰორსტი | ჰანოვერი | 29 |
| 9. კევინ ჰოფლანდი | ვოლფსბურგი | 28 |
| 10. ჟუანი | ლევერკუზენი | 28 |
| 11. მლადენ კრსტაიჩი | შალკე | 33 |
| 12. რადიმ კუჩერა | არმინია | 33 |
| 13. სოტირიოს კირიაკოსი | აინტრახტი | 27 |
| 14. ლუსიო | ბაიერნი | 29 |
| 15. სერდარ ტასკი | შტუტგარტი | 20 |
| 16. კრისტიან ვიორნსი | ბორუსია (დ) | 35 |
| 17. მარსელ მალტრიტცი | ბოხუმი | 28 |

### ფლანგის მცველები

გადახედეთ ფლანგის მცველების რეიტინგს, მსოფლიო დონეზე ლაპარაკიც ზედმეტია, საერთაშორისო კლასის გრაფაც კი ცარიელია! და სად არიან გერმანიის ნაკრების ფლანგის მცველები, ბრემენელი **კლემენს ფრიტცი** ან მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი **ფილიპ ლამი, კრისტიან შულცი** ან **კრისტიან პანდერი**? ამ ფეხბურთელებმა "კიკერის" რეიტინგში ადგილი ვერ დაიმკვიდრეს, რადგან ზოგს ცუდი სეზონი ჰქონდა (მაგალითად, ლამს), ზოგი კი ტრავმის გამო იშვიათად თამაშობდა (პანდერი). სიაში არაა **ვილი სანიოლიც** - ბუნდესლიგის ყველაზე მალალანაზღაურებადი მცველი.

"კიკერმა" პირველ ადგილზე ნიურნბერგელი **ხავიერ პინოლა** დაასახელა. არგენტინელმა მარცხენა მცველმა მართლაც ჩინებული სეზონი ჩაატარა, ყოველ შემთხვევაში, ბუნდესლიგაში ყველაზე სტაბილური და საუკეთესო იყო. მასთან ერთად გამორჩეული გახლდათ გლადბახელი **მარსელ იანსენიც**, რომელმაც გერმანიის ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი. შეგახსენებთ, რომ იანსენი მომავალი სეზონიდან "ბაიერნის" ღირსებას დაიცავს.

**მსოფლიო კლასი**

არავინ

**საერთაშორისო კლასი**

არავინ

**კარგი დონე**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 1. ხავიერ პინოლა | ნიურნბერგი | 25 |
| 2. ლუდოვიკ მანინი | შტუტგარტი | 28 |
| 3. მარსელ იანსენი | ბორუსია (მ) | 21 |
| 4. დედე | ბორუსია (დ) | 29 |

**საშუალო დონე**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 5. გონსალო კასტრო | ლევერკუზენი | 20 |
| 6. სტივ ჩერუნდოლო | ჰანოვერი | 28 |
| 7. არნე ფრიდრიხი | ჰერტა | 28 |
| 8. რიკარდო ოსორიო | შტუტგარტი | 27 |
| 9. რაფინია | შალკე | 21 |
| 10. მარკო როზე | მაინცი | 30 |
| 11. პიერ ვომე | ვერდერი | 28 |

### ფლანგის ნახევარმცველები

ფლანგის ნახევარმცველებიდან "კიკერმა" შტუტგარტელი **რობერტო ჰილბერტი** გამოარჩია. 22 წლის ფეხბურთელი, რომელმაც მეორე წრეში უდიდესი პროგრესი განიცადა და რომელიც გერმანიის ნაკრებშიც გამოიძახეს. სამი წლის წინათ ჰილბერტი ობერლიგურ "ფოიხტში" თამაშობდა, დღეს კი გერმანიის ჩემპიონია. მეორე ადგილზეა ჰანოვერელი **ჟაბოლჩ ჰუშტი**, მოთამაშე, რომელმაც პირველ წრეში "წითლებს" მიუნხენში მოაგებინა (1:0 "ბაიერნთან").

**მსოფლიო კლასი**

არავინ

**საერთაშორისო კლასი**

არავინ

**კარგი დონე**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 1. რობერტო ჰილბერტი | შტუტგარტი | 22 |
| 2. ჟაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 24 |

**საშუალო დონე**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 3. იორგ ბიომე | არმინია | 33 |
| 4. ჟილბერტო | ჰერტა | 31 |
| 5. დენის გროტე | ბოხუმი | 20 |
| 6. ვლად მუნტეანუ | კოტბუსი | 26 |
| 7. იან როზენტალი | ჰანოვერი | 21 |
| 8. ალბერტ შტრაიტი | აინტრახტი | 27 |

### საყრდენი ნახევარმცველები

ჩვენი გერმანელი კოლეგები პირდაპირ ამბობენ, რომ "შტუტგარტის" ჩემპიონობა, რასაც არავინ ელოდა, ფეხბურთელთაგან პირველ რიგში მექსიკელი საყრდენი ნახევარმცველის, **პაველ პარდოს** დამსახურებაა. ფეხბურთელმა, რომელშიც შვაბებმა მუნდიალის დასრულების შემდეგ 1 მილიონი ევრო გადაიხადეს, იმედები გაამართლა და VFB-ს ძრავად ჩამოყალიბდა. მასთან ერთად საერთაშორისო კლასის საყრდენებში ბრემენელი **ტორსტენ ფრინგსი** და ნიურნბერგელი **ტომაშ გალაშეკი** დასახელდნენ.

**მსოფლიო კლასი**

არავინ

**საერთაშორისო კლასი**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 1. პაველ პარდო | შტუტგარტი | 30 |
| 2. ტორსტენ ფრინგსი | ვერდერი | 30 |
| 3. ტომაშ გალაშეკი | ნიურნბერგი | 34 |

**კარგი დონე**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 4. მარკ ვან ბომელი | ბაიერნი | 30 |
| 5. ჰანო ბალიტში | ჰანოვერი | 26 |
| 6. პეერ კლუგე | ბორუსია (მ) | 26 |
| 7. დავიდ იაროლიმი | ჰამბურგი | 28 |
| 8. თომას ცდებელი | ბოხუმი | 34 |

**საშუალო დონე**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 9. ლეონ ანდრეასენი | მაინცი | 24 |
| 10. კრისტოფ დაბროვსკი | ბოხუმი | 29 |
| 11. მარკო ენგელჰარდტი | ნიურნბერგი | 26 |
| 12. ოუენ ჰარგრივსი | ბაიერნი | 26 |
| 13. რიუდიგერ კაუფი | არმინია | 32 |
| 14. მარიუშ კუკიელკა | კოტბუსი | 30 |
| 15. სიმონ როლფესი | ლევერკუზენი | 25 |
| 16. ტიმო როსტი | კოტბუსი | 28 |

### შემტევი ნახევარმცველები

"კიკერის" ჟურნალისტებს ყველაზე ხანგრძლივი დისკუსია ამ პოზიციაზე დასჭირდათ. **დიეგო, რაფაელ ვან დერ ვაარტი** თუ **ბერნდ შნაიდერი** - ეს გახლდათ განსჯის საგანი. საბოლოოდ, "ლევერკუზენის" ვეტერანმა ლიდერმა გაიმარჯვა, რადგან ის ამ სამი ფეხბურთელიდან ყველაზე სტაბილური გახლდათ. დიეგოს ხშირად ჰქონდა ჩავარდნები, ისევე, როგორც ვან დერ ვაარტს (განსაკუთრებით პირველ წრეში), შნაიდერმა კი მთელი სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა.

**მსოფლიო კლასი**

არავინ

**საერთაშორისო კლასი**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 1. ბერნდ შნაიდერი | ლევერკუზენი | 33 |
| 2. დიეგო | ვერდერი | 22 |
| 3. რაფაელ ვან დერ ვაარტი | ჰამბურგი | 24 |

**კარგი დონე**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 4. მარსელინიო | ვოლფსბურგი | 32 |
| 5. თომას ჰიტცლშპერგერი | შტუტგარტი | 25 |

**საშუალო დონე**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 6. არნოლდ ბრუგინკი | ჰანოვერი | 29 |
| 7. სამი ხედირა | შტუტგარტი | 20 |
| 8. ლინკოლნი | შალკე | 28 |
| 9. ზვიეზდან მიშიმოვიჩი | ბოხუმი | 25 |
| 10. ტინგა | ბორუსია (დ) | 29 |

### თავდამსხმელები

ეს ერთადერთი პოზიციაა, სადაც გამარჯვებულის გამოსავლენად დისკუსია საერთოდ არ იყო საჭირო - პირველ ადგილზე, ცხადია, საუკეთესო ბომბარდირი უნდა გასულიყო და ასეც მოხდა: "ბოხუმიდან" "ლევერკუზენში" გადაბარგებული ბერძენი გოლეადორი **თეოფანის გეკასი** ბუნდესლიგა 2006/07-ის საუკეთესო თავდამსხმელია. გეკასი ბურთთან ერთად სასწაულებს ვერ აკეთებდა, მაგრამ რაც მთავარია, ყველაზე მეტი გოლი გაიტანა. მეორე წრეში სასწაული მოახდინა "ვერდერიდან" "მაინცში" განათხოვრებულმა **მოჰამედ ზიდანმა**, რომელიც გაცილებით ეფექტურად თამაშობდა, ვიდრე გეკასი, მაგრამ ეგვიპტელმა 14 გოლიდან 4 პენალტით გაიტანა! სამაგიეროდ, 14-დან 13 გოლი მეორე წრეში შეაგდო. მომავალი სეზონიდან, ზიდანი, როგორც იცით, "ჰამბურგის" ღირსებას დაიცავს.

**მსოფლიო კლასი**

არავინ

**საერთაშორისო კლასი**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 1. თეოფანის გეკასი | ბოხუმი | 27 |
| 2. მოჰამედ ზიდანი | მაინცი | 25 |
| 3. კევინ კურანი | შალკე | 25 |
| 4. სერგიუ რადუ | კოტბუსი | 29 |
| 5. მარიო გომესი | შტუტგარტი | 21 |
| 6. ალექსანდერ ფრაი | ბორუსია (დ) | 27 |

**კარგი დონე**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 7. კაკაუ | შტუტგარტი | 26 |

**საშუალო დონე**

| ფეხბურთელი | გუნდი | ასაკი |
|---|---|---|
| 8. კრისტიან ხიმენესი | ჰერტა | 32 |
| 9. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 23 |
| 10. დიეგო კლიმოვიჩი | ვოლფსბურგი | 32 |
| 11. მიროსლავ კლოზე | ვერდერი | 29 |
| 12. როი მაკაი | ბაიერნი | 32 |
| 13. ივან საენკო | ნიურნბერგი | 23 |
| 14. ანდრეი ვორონინი | ლევერკუზენი | 27 |

**გოტფრიდ ლენცი**

## ტორესი ლივერპულში?

ინგლისური პრესის მტკიცებით, "ლივერპული" და "ატლეტიკო" **ფერნანდო ტორესის** ტრანსფერთან დაკავშირებით ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ბრიტანელი ჟურნალისტები მოგვახსენებენ, რომ "წითელი ეშმაკები" მადრიდელ კოლეგებს "ელ ნინიოს" სანაცვლოდ 24 მილიონ ევროსა და **ლუის გარსიას** თავაზობენ. თითქოს, ესპანური მხარე შეთავაზებით მოხიბლული დარჩა...

სრულიად საპირისპირო რამ იწერება ესპანურ მედიაში. "დიარიო ასისთვის" მიცემულ ინტერვიუში ენრიკე სერესომ "ლივერპულის" დაინტერესების ფაქტი დაადასტურა, თუმცა მათ შეთავაზებით მოხიბვლის ფაქტს სიცრუე და დეზინფორმაცია უწოდა. "როხიბლანკოს" პრეზიდენტმა გულშემატკივრების დამშვიდება სცადა და დასძინა, ტორესის გაყიდვას არ ვაპირებთო.

სერესოს კატეგორიულობის მიუხედავად, დიდია ალბათობა იმისა, რომ ფერნანდომ "ვისენტე კალდერონი" დატოვოს. ახალგაზრდა ფორვარდმა სეზონის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე განაცხადა, თუ უეფას თასის საგზურს ვერ მოვიპოვებთ, "ატლეტიკოდან" წასვლაზე სერიოზულად დავფიქრდებიო. "როხიბლანკო" წელს მხოლოდ ინტერტოტოს საგზურით დაინტერესდა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ იქნება, თუ ტორესი მართლაც სხვა გუნდში გადაბარგდება.

## სილვა და ბარახა ვალენსიაში რჩებიან

"ვალენსიის" პრესსამსახურის ცნობით, **დავიდ სილვამ და რუბენ ბარახამ** გუნდთან 2011 წლამდე გააგრძელეს ხელშეკრულება. შეთანხმებით უკლებლივ ყველა კმაყოფილი დარჩა. **კიკე ფლორესმა** პრეზიდენტს გაწეული დახმარებისთვის გულწრფელი მადლობა მოახსენა. საქმე ის არის, რომ ფეხბურთელებთან მოლაპარაკებებს უშუალოდ **ხუან ბაუტისტა სოლერი** აწარმოებდა. სიხარული და კმაყოფილება სილვასა და ბარახასაც არ დაუმალავთ. ორივე პირობას დებს, რომ "ვალენსია" მომავალ სეზონში გაცილებით უკეთეს შედეგს აჩვენებს.

## თასი ბოკას

"ბოკა ხუნიორსი" ლიბერტადორესის თასს დაეუფლა. მას პირველი მატჩი სამი უპასუხო გოლით ჰქონდა მოგებული. ამიტომ "გრემიოს" თავდაჯერებული ესტუმრა. არგენტინულ გრანდს ქომაგთა იმედები არ გაუცრუებია. **ხუან რომან რიკელმემ** მეტოქეს დუბლი შეუსრულა. "ბოკამ" ორი შეხვედრის ჯამში 5:0 მოიგო. რიკელმემ პირველი გოლი 69-ე წუთზე, საუცხოო შორეული დარტყმით გაიტანა. მეორედ 81-ე წუთზე დაამწუხრა მეტოქე. 85-ე წუთზე **მარტინ პალერმომ** 11-მეტრიანი ვერ გაიტანა. აღსანიშნავია, რომ სტუმართა გუნდს თითქმის მთელი ღამე არ სძინებია. "გრემიოს" ქომაგებმა მათ სასტუმროსთან მოიყარეს თავი და მთელი ღამის განმავლობაში გაუსაძლისად ხმაურობდნენ. "ბოკას" სტადიონზეც მტრულად შეხვდნენ. არგენტინის ჰიმნისას ტრიბუნებზე გამაყრუებლად უსტვენდნენ.

## სიტი თანახმაა

"მანჩესტერ სიტის" დირექტორატი თანახმაა, კლუბი ტაილანდის ყოფილ პრემიერ-მინისტრს მიჰყიდოს. **ტაქსინ შინავატრას** 81.6 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევს. უახლოეს მომავალში "სიტი" კომპანია "იუ ქეი სპორტს ინვესტმენტის" საკუთრება გახდება. ამ კომპანიის უკან შინავატრას ოჯახის წევრები დგანან. ტაილანდელი მულტი-მილიონერი საკუთარმა ჯარმა გასული წლის შემოდგომაზე დაამხო. მას შემდეგ ის დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს. შინავატრას კორუფციაში ადანაშაულებენ. ტაილანდის ხელისუფლება მის გადაცემას ითხოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ახალგაზრდული ნაკრები

# მოგებით უკმაყოფილონი



შერმადინის შეტევა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**საქართველო-ირანი 93:81**

28:15, 24:29, 25:13, 16:24

საქართველო: **გაფრინდაშვილი (5 ქ), დიდია (16 ქ. 4 პ), ბერიშვილი (4 ქ), ჭოჭუა (18 ქ), შერმადინი (22 ქ. 14 მ), ლაფანაშვილი (2 ქ. 4 პ), ჯგერენაია (5 ქ), მათიაშვილი (8 ქ), გულისაბედაშვილი (6 ქ), ფაცაცია (3 ქ), ნივნივაძე (4 ქ), პირველაშვილი, ცეკვავა**

გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა - ირანის ჭაბუკთა გუნდი 93:81 დაამარცხა.

ანგარიშის მიხედვით, შეიძლება იფიქროთ, რომ თამაში თაბანარი იყო, მაგრამ ირანელთა მწვრთნელებმაც აღნიშნეს - თქვენ კლასით გაცილებით უკეთესი ნაკრები გყოლიათო. ანგარიშში სხვაობამ 12 ქულაზე მეტი რომ არ შეადგინა, ამას სამი მიზეზი ჰქონდა.

პირველი - 1987 წელს დაბადებულთა ნაკრები წელს პირველად შეიკრიბა, მანამდე ერთმანეთის გვერდით 3-4 კაცს თუ უთამაშია. აქედან გამომდინარე გამოჩნდა, რომ გუნდს შეთამაშება აკლია. მწვრთნელებს იმედი აქვთ, რომ 6 ივლისამდე თამაშ-თამაშ ნაკრები ერთ მუშტად შეიკვრება.

მეორე - ქართველი ახალგაზრდები მზადების შუა ეტაპზე არიან, დღეში ორჯერ ვარჯიშობენ და მატჩისას დაღლა აშკარად დაეტყოთ. ირანელები კი კალიებივით დახტოდნენ.

და მესამე - მოთელვაზე გამოსული ირანის ნაკრები სიმაღლით აშკარად ჩამოგვრჩებოდა, თანც ასაკითაც პატარები ჩანდნენ, ხოლო პირველ წუთებზე 19:7 დაწინაურების შემდეგ, ქართველ ახალგაზრდებს საბრძოლო განწყობის და კონცენტრაციის ბოლომდე შენარჩუნება გაუჭირდათ. თანაც მწვრთნელები ცდილობდნენ ყველა კალათბურთელისთვის მიეცათ თავის გამოჩენის შანსი.

**რეზო დიდია, გიორგი გაფრინდაშვილი, გიორგი შერმადინი, მიხეილ ჭოჭუა** და **მიხეილ ბერიშვილი** გუშინ სასტარტო შემადგენლობაში მოხვდნენ. შეხვედრის მსვლელობისას გამოჩნდა, რომ სწორედ ეს ხუთეული შეადგენს გუნდის ხერხემალს. გუშინ სტატისტიკითა და დაფარება-ჩატენვებით გამოირჩა **გიორგი შერმადინი**, რომელმაც 22 ქულა და 14 მოხსნა დააგროვა.

სათადარიგოთა სკამიდან თამაშში კარგად ჩაერთვნენ **დიმიტრი ფაცაცია** (2005-06 წლების სეზონში "ბარსელონის" იუნიორთა გუნდში ირიცხებოდა, შარშანდელი სეზონი კი გაუცდა), **ირაკლი გულისაბედაშვილი** ("დინამო") და **ირაკლი ჯგერენაია** ("მაკაბი")...

... თუმცა როგორც მატჩის შემდეგ ქართველთა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** აღნიშნა, კმაყოფილი არც ერთი კალათბურთელის თამაშით დარჩენილა.

ირანელთა შემადგენლობიდან ორი კაცი გამოირჩეოდა: **ემად სალმანლი**, რომელმაც არაერთი სამქულიანი ჩაგვიგდო და მატჩის სნაიპერი გახდა (25 ქულა) და **ავსულთან კაზემი** (19 ქულა, 17 მოხსნა, 4 პასი).

### მატჩის შემდეგ:

შეხვედრის ბოლოს უკმაყოფილო ჩანდა **დავით უსტიაშვილი**: *"ამჟამად ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების შუა ეტაპზე ვართ, ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს და ბიჭებს ბოლოს დაღლა დაეტყოთ. ირანთან მატჩისთვის ვარჯიშების შემსუბუქება საჭიროდ არ ჩავთვალეთ, რადგან მთავარია, 6 ივლისისთვის ვიყოთ ოპტიმალურ ფორმაში. დღევანდელი შეხვედრის მიხედვით ვინმეს დადებითად დახასიათება გამიჭირდება, რადგან მთლიანად გუნდმა ვერ ითამაშა სათანადოდ. სამწუხარო ტრავმა მიიღო დიმიტრი ფაცაციამ. ოღონდ ჯერ არ ვიცით, ტრავმა სერიოზულია, თუ არა. ლუკა ნოზაძეს კი მაჯა აწუხებდა და დღეს ამიტომ ვერ ითამაშა."*

ირანის მწვრთნელის **ავშინ სეზაპურის** ნაუბარს გვითარგმნიდა **მიხეილ ჩიტაშვილი**, რომელიც შარშან ირანის ჩემპიონატში თამაშობდა და ქართველი თანატოლების საქომაგოდ "დინამოს" ბაზაზე მოვიდა.

ბატონი რეზაპური, დავით უსტიაშვილსგან განსხვავებით კმაყოფილი ჩანდა: *"მიხარია, რომ დღეს გამოცდილ და მაღალი კლასის მეტოქეს არაფერი დავუთმეთ. ქართველებს სროლაც კარგად ეხერხებათ და პასებიც. მოკლედ, თქვენიანებმა კალათბურთის თამაში ზედმიწევნით კარგად იციან. ჩვენ კი მხოლოდ მონდომების ხარჯზე გავედით ფონს. ქართველთაგან მერვე ნომერს (რეზო დიდიას) გამოვყოფ, ჩვენგან მეთოთხმეტეს - კაზემის."*

### მთავარია იტალია...

**ახალგაზრდული ნაკრების მატჩს დაესწრო ზაზა ფაჩულია, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის 20-წლამდელთა ნაკრების გამოსვლა საინტერესოა, იმდენად, რამდენადაც ხვალ რომელიმე წევრმა მის გვერდით ეროვნულ გუნდში უნდა ითამაშოს, შეიძლება NBA-შიც...**

*"ეს ახალგაზრდების პირველი საკონტროლო მატჩი იყო, ამიტომ გუნდის შეფასება ცოტა გამიჭირდება. ირანის ნაკრები რომ უნდა დავამარცხოთ, ეს, ცხადია. ახლა მთავარია, იტალიისა და ესპანეთის დარ გუნდებთან რას ვიზამთ..."*

ზაზამ საზაფხულო გეგმებიც გაგვანდო. იგი დღეს ამერიკაში გაფრინდება და ატლანტაში ინდივიდუალურად ვარჯიშს შეუდგება. ჯორჯიის შტატში ივლისის შუა რიცხვებამდე დარჩება, ხოლო 18-ში ეროვნული ნაკრების შეკრებაზე გამოცხადდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ზაზა ფაჩულია

## ჩოგბურთი



ეკა გორგოძე

რენას თასი

# ბევრი ქართველი და ცოტა უცხოელი

"რენას თასის" გათამაშებაზე გუშინ მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართა. როგორც იცით, ტურნირი საერთაშორისოა და მასში 13 ქვეყნის 14 და 16-წლამდე ასაკის გოგონები და ვაჟები მონაწილეობენ. უცხოელთა მატება სასიამოვნოა, რაც ტურნირის პრესტიჟის მატებაზე მეტყველებს, მაგრამ მათი კვალიფიკაცია, სამწუხაროდ, არ არის ისეთი მაღალი, რომ უპირობო ფავორიტები იყვნენ.

მიუხედავად ამისა, ქართველთათვის "რენას თასის" გათამაშება დიდი სკოლა. რამდენიმე ქართველი, რომელიც აქ იბრძვის, საკმაოდ იმედისმომცემი სპორტსმენია და თავიანთ ასაკში მსოფლიო რეიტინგებშიც მიიწევენ წინ. ასეა **ეკა გორგოძე**, რომელიც პირველ ნომრადაა არის განთესილი და ადასტურებს კიდეც სტატუსს - ეკამ 16 წლიანების მეოთხედფინალში **ნინო ხუჯაშვილი** ორ სეტში დაამარცხა - 6:3, 6:3 და დღეს ფინალის საგზურს შეეცილება **გვანცა რობაქიძეს**, რომელმაც **ნინო მოწყობილს** აჯობა ორ სეტში - 6:2, 6:4. მეორე ნახევარფინალურ წყვილს **ნინო მებუკე** და **დიანა დავითაია** შეადგენენ.

როგორც ხედავთ, აქ წმინდა ქართული ნახევარფინალებია და, ცხადია, გამარჯვებულიც ჩვენებური იქნება. სხვაგვარი მდგომარეობაა ბიჭებში: ოთხიდან ორი უცხოელია, თუმც ერთი ქართველი ფინალში მაინც მოხვდება: ნახევარფინალში **ბიძინა ამაშუკელი შოთა პაიჭაძეს** შეხვდება. ამაშუკელმა ორსეტიან დაძაბულ ბრძოლაში **ლაშა-გიორგი ლანჩავა** დაამარცხა - 7:6, 7:5, ხოლო პაიჭაძემ ტურნირის ფავორიტს, მეორე ნომერს სომეხ **ტორგომ ასატრიანს** აჯობა - 6:1, 6:3. მეორე წყვილში ტურნირის პირველი ნომერი უკრაინელი **მაქსიმ მალიშევი** და მეოთხე ნომერი პოლონელი **პიოტრ გრინკოვსკი** იბრძოლებენ. მალაშევმა გუშინ რუსი **მაქსიმ კარტავცევი** დაამარცხა - 6:3, 6:4; გრინკოვსკიმ კი ქართელ **გიორგი დადიანს** აჯობა - 6:2, 6:1.

თოთხმეტწლიან გოგონებში ქართველთა უპირატესობაა - პირველ ნომრად განთესილმა **სალომე კვიტაშვილმა** ქართველი **დიანა თუმანოვა** დაამარცხა - 6:3, 6:4 და ნახევარფინალში გავიდა. მოიგო **თამარ კომახიძემ** - იგი მეოთხე ნომერია და განუთესავ თანამემამულეს **თეონა ტატიშვილს** აჯობა - 6:3, 6:1. ნახევარფინალშია **ქეთი მებუკეც** - მან გუშინ **ირინე თოიძე** დაამარცხა - 6:1, 6:1. აღსანიშნავია, რომ მებუკეს განთესვის მეექვსე ნომერი აქვს, თოიძეს კი - მესამე. ერთადერთი უცხოელი, რომელმაც ქართველთა იდილია დაარღვია, ებრაელი **დენიზ კაზანიუკია** - მან ნახევარფინალში მეთორმეტე ნომრად განთესილი **ლანა როსტიაშვილს** მოუგო - 5:7, 6:2, 6:2. კაზანიუკი ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება და მეორე ნომრად არის განთესილი.

ვაჟებში აქაც წყვილ-წყვილად არიან ქართველები და უცხოელები, იმ განსხვავებით, რომ ქართველი ქართველს არ ხვდება. პირველ ნომრად განთესილი **გიორგი ცივაძე** მეოთხე ნომერს გერმანელ **ნიკ ბლემანს** ეთამაშება, მეორე ნომრად განთესილი **დავით ხუციშვილი** კი - მესამე ნომერ ებრაელ **ასლან კარცევს**. მეოთხედფინალში ცივაძემ ებრაელი **დავიდ მუშაევი** დაამარცხა ორ სეტში - 6:3, 6:3. ხუციშვილმა კი თურქმენი **ჯამშიდ ილმურადოვს** სძლია - 6:1, 6:1.

დღეს ფინალისტები გამოვლინდებიან.

**ზვიად შათირიშვილი**

## ლელოს ნათლული 20 წლისაა

1987 წლის ივნისში "ლელოს" რედაქციას თანამშრომლებისთვის კარგად ნაცნობმა პიროვნებამ, გამომცემლობა "სამშობლოს" სპეციალისტმა თენგიზ თომაძემ მოაკითხა. გვითხრა: "აფიშაზე ამოვიკითხე, რომ უნივერსიტეტის დარბაზში ჩატარდება შეჯიბრება მკლავის გადაძალვაში. რატომ მკლავის გადაძალვა და არა "მკლავჭიდი"? იქნებ, სწორედ ეს ტერმინი დავამკვიდროთ..."

რედაქცია სერიოზულად შეუდგა წინადადების განხილვას. სარედაქციო კოლეგიის თხოვნით, ბიჭიკო ქორქიამ ამ ტერმინის ირგვლივ მოკრიბა ცნობები, გაესაუბრა ენათმეცნიერებს და "მკლავჭიდმა" იმ პერიოდიდან ადგილი სამუდამოდ დაიმკვიდრა სპორტულ ტერმინოლოგიაში, იმ ტერმინებს შორის, სხვადასხვა დროს ჩვენმა გაზეთმა რომ დაულოცა გზა.

ამ დღეებში თ. თომაძე კვლავ გვესტუმრა რედაქციაში თქვენი ნათლული 20 წლის გახდაო - შეგვახსენა, თანაც "ლელოს" მიერ 1987 წლის ივნისში ტერმინ "მკლავჭიდზე" გაცემული საავტორო, იგივე დაბადების მოწმობაც წარმოგვიდგინა.

## თარიღი

**ლუკა იოაკიმიდი.** 22.06.1909, თბილისი - 1992, კრასნოდარის მხარე (რუსეთი). ცურვა, წყალბურთი. საქართველოს სპორტული ცურვისა და წყალბურთის ფუძემდებელი. სსრკ მოცურავეთა ნაკრების მწვრთნელი (1967-70). 1940-70-იან წლებში იყო საქართველოს მოცურავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი. თბილისის "დინამოს" წყალბურთელთა გუნდის მეკარე და მთავარი მწვრთნელი (1949-52). მისი აღზრდილები არიან: პეტრე მშვენიერაძე, ნოდარ გვახარია და ალექსანდრე იოაკიმიდი. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.

**სერგო შალიბაშვილი.** 22.06.1962, თბილისი - 16.07.1983, ედმონტონი (კანადა). წყალში ხტომა. სსრკ ჩემპიონი (1980) და მესამე პრიზიორი (1979), სსრკ თასის სამგზის მფლობელი (1978-80), ევროპის იუნიორთა ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1978), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. დაიღუპა მსოფლიო უნივერსიადაზე შეჯიბრებისას მიღებული ტრავმით. 1983 წელს, გარდაცვალების შემდეგ, დაჯილდოვდა ოლიმპიური ორდენით.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პლაჟბურთი

დიდი სლემი

### განსხვავებული ფორმატით

პარიზში დაიწყო დიდი სლემის ტურნირი, რომელიც ერთდროულად მსოფლიო სერიის ჩათვლაშიც შედის. დიდი სლემის თავისებურება ისაა, რომ მონაწილეები ჯგუფებში არიან განაწილებული. თითო ჯგუფში ოთხი წყვილი ასპარეზობს და საპლეიოფო ეტაპზე ორი საუკეთესო გადის. აღსანიშნავია, რომ სწორედ ასეთი სისტემით გაიმართება წლეულს, ივლისის ბოლოს, მსოფლიოს ჩემპიონატი შვეიცარიის ქალაქ გშტაადში და 2008 წლის ოლიმპიადა პეკინში.

თავდაპირველად შეჯიბრებაში ქალები ჩაერთნენ. პლაჟბურთის ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ** საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაძლია და B ჯგუფში მოხვდა. კვალიფიკაციაში ჩვენმა ქალებმა ჯერ ბრიტანელები **ბოულტონი** და **ჯოუნსი** დაამარცხეს - 2:1 (21:13, 19:21, 15:10). ხოლო შემდეგ ლატვიელებს **მინუსასა** და **იურსონეს** მოუგეს - 2:1 (16:21, 22:20, 15:11).

საქა-რთველოს ფორტუნამ ზურგი აქცია ჯგუფურ ეტაპზე. პირველ შეხვედრაში მათი მეტოქეები ათენის ოლიმპიადის გამარჯვებულები, ამერიკელები **ტონი ველში** და **მისტი მეი** იყვნენ. მატჩი, ცხადია, ჩემპიონთა გამარჯვებით დასრულდა - 2:0 (21:16, 21:13). მეორე შეხვედრაში ჩვენმა პლაჟბურთელებმა უფრო მეტი წინააღმდეგობა გასწიეს, მაგრამ ნორვეგიელებთან **ნაკედალთან** და **ტორლენთან** ვერას გახდნენ - 0:2 (15:21, 19:21). ამ მარცხით საქა-რთველომ ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის შანსიც დაკარგა და ბოლო შეხვედრის შედეგის მიუხედავად, ბერძნულ წყვილთან, გათამაშებას გამოეთიშება.

ვაჟებში გეორ-გია პირდაპირ ძირითად ტურნირშია დაშვებული და შეჯიბრებაში დღეს ჩაერთვება. ჩვენი ფრენბურთელები J ჯგუფში, **კემპერუნდი-სკარლუნდის** (ნორვეგია), **ალვარეს-მუნდერის** (კუბა) და **გიბი-როზენტალის** (აშშ) წინააღმდეგ ითამაშებენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ხელბურთი

### ჩელენჯ ტროფი ნახევრად თბილისურია

თითქმის გადაწყვეტილ ამბად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ "ჩელენჯ ტროფის" წლევანდელი გათანაშების ნახევარი თბილისში გაიმართება. აქამდე, ეს საკითხი მხოლოდ იმით შემოიფარგლებოდა, რომ საქართველოს ხელბურთის ასოციაციას ევროპის ხელბურთის ფედერაციაში განაცხადი ჰქონდა შეტანილი მასპინძლობის შესახებ. ორიოდე დღის წინათ კი თავად ევროხელბურთის მამები დაუკავშირდნენ ქართულ მხარეს და არაოფიციალური დასტური უთხრეს. ოფიციალურად, საკითხი ოთხშაბათს უნდა გადაწყდეს. ეს ინფორმაცია გუშინ ჩვენი ხელბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კაკაბაძემ** გაგვანდო.

- როგორც იცით, "ჩელენჯ ტროფის" გათამაშებაზე ორი ვარიანტი განიხილებოდა – ან ყველა გუნდს შოტლანდიაში უნდა ეთამაშა, ანდა მეორე ქვეყანაც ჩაერთოთ საქმეში, რაზეც ჩვენც ვაცხადებდით პრეტენზიას. მასპინძლობის სურვილი კი გვქონდა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მაინც მოულოდნელი იყო, როდესაც ევროპის ხელბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჩვენი ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტ თამაზ თევზაძეს დაურეკა და უთხრა, რომ ევროპის ფედერაცია თბილისის კანდიდატურის წინააღმდეგი არ იყო. თუმცა, საბოლოოდ, ამ საკითხს ოთხშაბათს განიხილავენ.

**- თუკი მასპინძლობის უფლებას ოფიციალურად მოგვანიჭებენ, რომელი გუნდები ჩამოვლენ თბილისში?**

- თავდაპირველად, წლევანდელ "ჩელენჯ ტროფზე", 12 გუნდის მონაწილეობა იგეგმებოდა, მაგრამ საბოლოოდ, ცხრა განაცხადი შევიდა. ეს გუნდები, რეგიონული პრინციპით გაანაწილეს ორ ჯგუფში. ჩვენს ქვეჯგუფში ითამაშებენ აზერბაიჯანი, სომხეთი და მოლდოვა, შოტლანდიაში კი, მასპინძლების გარდა, ჩავლენ ინგლისი, ირლანდია, ფარერები და მონაკო. ტურნირი 24-29 ოქტომბერსაა დაგეგმილი. ჩვენი და შოტლანდიური ქვეჯგუფების პირველადგილოსნები, მომავალი წლის იანვარში ნორვეგიაში წავლენ, სადაც ევროპის ჩემპიონატის პარალელურად, "ჩელენჯ ტროფის" ფინალი გაიმართება.

ალსანიშნავია, რომ მომავალი წლიდან, "ჩელენჯ ტროფის" სისტემა შეიცვლება. მის ორგანიზებაში ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციაც ჩაერთვება. ტურნირი ჩატარდება ყველა კონტინენტზე, რომლის გამარჯვებულებიც, "ჩელენჯ ტროფის" მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს გაითამაშებენ. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ მასპინძლობის უფლების მონიჭების შემთხვევაში, თბილისში ჩამოსვლას აპირებენ ევროპის ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანიც.

**- ფინანსური კუთხით, მზად ხართ ტურნირის მასპინძლობისთვის?**

- ვერ ვიტყვი, რომ ფული თავზე გადაგვდის, მაგრამ როცა ასეთი დონის ტურნირის მასპინძლობის პატივი გხვდება, ხელიდან არ უნდა გაუშვა. უფრო მნიშვნელოვანი დარბაზის პრობლემა მგონია. როგორც ვიცი, კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების სასექტემბრო მატჩების შემდეგ, სპორტის სასახლეში სარემონტო სამუშაოები უნდა გაგრძელდეს და თუკი იქ ვერ ვითამაშებთ, საქმე გართულდება, რადგან სხვა ხეირიანი დარბაზი არ გვაქვს. ვიმედოვნებ, ეს საკითხიც დადებითად გადაიჭრება.

**- პრობლემა შეიძლება შეგიქმნათ იმანაც, რომ ლეგიონერებს ოქტომბერში უკვე დაწყებული ექნებათ ახალი სეზონი...**

- ამ მხრივ, საგანგაში არაფერია. "ჩელენჯ ტროფი" ევროპის ხელბურთის ფედერაციის ოფიციალური ტურნირია. შესაბამისად, კლუბებს არ აქვთ უფლება, რომ ამ შეჯიბრებაზე, ხელბურთელები ნაკრებ გუნდებში არ გაუშვან.

**- "კავკასიის ლიგაზე" რა სიახლეებია?**

- სამწუხაროდ, სომხები და აზერბაიჯანელები ყოყმანობენ ამ პროექტში ჩართვაზე. თუმცა რაკი-ლა "ჩელენჯ ტროფის" თბილისში ჩატარება რეალური გახდა, "კავკასიის ლიგაზე" ფიქრი დროებით შევწყვიტეთ, რადგან შემოდგომით, ერთბაშად ორი საერთაშორისო ტურნირის მასპინძლობა გაგვიჭირდება. სომხებს და აზერბაიჯანელებს კი, მართალია, სანაკრებო დონეზე, მაგრამ მაინც შევახვედრებთ თბილისში. თუმცა საკლუბო ტურნირი აუცილებლად გვჭირდება და წლეულს თუ ვერა, მომავალი წლიდან მაინც აუცილებლად მივხედავთ ამ საქმეს.

**კობა ხატისაშვილი**

## ტანვარჯიში

დაპირისპირება

### აურზაური თვითდაფინანსების გამო



პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სკოლის გაუქმებას მცირე ხმაური მოჰყვა, ოღონდ მალევე ჩაცხრა, რადგან სკოლა თავისი მწვრთნელ-მოწაფეებიანად, სანაპიროზე მდებარე ტანვარჯიშის სახეობათა ცენტრში გადავიდა. თითქოსდა, ყველაფერი მოგვარებული იყო... სამწუხაროდ, ასე მარტივად არ ყოფილა საქმე.

ახლახან დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი, რის შემდეგაც, რამდენიმე მწვრთნელმა თავისი გულისტკივილი გამიზიარა. მწვრთნელთა სახელით, უკმაყოფილების მიზეზები, მათივე წრის წარმომადგენელმა **ამირან ბერიძემ** ჩამოაყალიბა.

- ეგნატაშვილის სკოლის შენობა გაიყიდა და სანაპიროზე, ტანვარჯიშის ფედერაციის ახლადგარემონტებულ შენობაში გადმოგვისროლეს, რომელსაც დაარქვეს კიდეც ეგნატაშვილის სახელობის სკოლა. პრობლემები მაშინვე შეგვექმნა. სკოლიდან 15 აპრილს გამოგვიშვეს და ისიც არ ისურვეს, რომ ივნისის ბოლომდე, ანუ სასწავლო სეზონის დამთავრებამდე მაინც დავეტოვებინეთ. არ ვიცოდით, სად წაგველო ინვენტარი. ახლოვდებოდა საქართველოს ჩემპიონატიც...

დაბინავების საკითხი გადაიჭრა, მაგრამ პრობლემები არ მოგვკლებია. იანვრის შემდეგ, მწვრთნელები, ფაქტობრივად, ენთუზიაზმზე ვმუშაობთ. კომპლექსის ხელმძღვანელობა გვთხოვს, რომ ბავშვებს გამოვართვათ ვარჯიშის ფული და მერე იქიდან პროცენტებს მოგვცემენ ხელფასის სახით. გადასახადი არ ეხებათ მხოლოდ ეროვნული ნაკრების ტანმოვარჯიშეებს.

არადა, ამ კომპლექსში იმდენი რამაა გაქირავებული, რომ მხოლოდ ამ თანხით თავისუფლად დაიფარება კომუნალური გადასახადები. კი ბატონო, გვესმის, რომ ახლა ბაზები თვითდაფინანსებაზეა, მაგრამ შემოდგომამდე მაინც გვაცალონ, რომ სხვა თუ არაფერი, ხეირიანად მაინც გავერკვეთ ყველაფერში და გადაწყვეტილი იყოს, რამდენი სპორტსმენი გვეყოლება. ანდა, ხელშეკრულება საერთოდ არ გვაქვს გაფორმებული და რა გადასახადს გვთხოვენ?

რატომ უნდა ვიხადოთ თანხა, როცა დარბაზშიც კი არ გვიშვებენ ხეირიანად. იქ ხან მხატვრული ტანმოვარჯიშეები ჰყავთ, ხანაც ისეთი სახეობების წარმომადგენლებზე აქირავებენ, როგორებიცაა კიკბოქსინგი, კარატე, ტაეკვანდო თუ ბრეიქ დანსის სექცია. დარბაზი ცალკე პრობლემაა. ამაზე ლამის ყოველდღე გვაქვს ჩხუბი და გაწევ-გამოწევა. რაკილა სკოლა მერიის დაქვემდებარებაშია, სპეციალურად ამ საკითხის მოსაგვარებლად, დედაქალაქის სპორტის უფროსი ზაზა დოლიძე გვესტუმრა. მან გარკვევით გვითხრა, რომ კომპლექსში ვარჯიშის გრაფიკის დაწესებისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ოლიმპიურ სახეობებს, თუმცა პირიქით ხდება. მოკლედ, ყველაფერი სპორტული ტანვარჯიშის საწინააღმდეგოდაა.

**ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, კომპლექსის დირექტორ როზა ბერიკაშვილს დავუკავშირდი კომენტარისთვის. იგი გვარიანად აღაშფოთა მწვრთნელთა პრეტენზიებმა, კაბინეტში მიმიწვია, თანაშემწეებსაც უხმო და სიმართლის დასამტკიცებლად, ერთგვარი "რევიზია" ჩამატარებინა. ქალბატონმა როზამ ყველანაირ ოფიციალურ დოკუმენტს გამაცნო და გზადაგზა, თითოეულ საკითხზე დეტალურ განმარტებას მაძლევდა.**

როზა ბერიკაშვილი: - თავდაპირველად, ჩვენი ბაზის ოფიციალურ სახელწოდებას გაგეცნოთ: "გიორგი ეგნატაშვილის სახელობის მერიის არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, ოლიმპიური მზადების კომპლექსი". იგი თბილისის მერიის დაქვემდებარებაშია, თვითდაფინანსებაზეა და ხელშეკრულებაში ისიც გარკვევით წერია, რომ ტანვარჯიშის გარდა, სხვა სახეობების მომსახურებაც შეგვიძლია – რა თქმა უნდა, საფასურის სანაცვლოდ. თუმცა აქედან შემოსული ფინანსები ნამდვილად არაა ისეთი, რომ ამხელა შენობის შენახვას გასწვდეს. აღარაფერს ვამბობ სპეციალისტთა ხელფასზე...

ვერ ვიტყვი, რომ სპორტული ბაზების თვითდაფინანსებაზე გადასვლა იდეალური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ კანონი კანონია და მას უნდა დავემორჩილოთ. ამიტომაც, გვინდა თუ არ გვინდა, სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ ეროვნული ნაკრების წევრთა გარდა, ყველა ტანმოვარჯიშემ გადაიხადოს ვარჯიშის ფული. ეს თანხა სპორტსმენებს შეაქვთ არა ჩვენს ხაზინაში, არამედ ბანკში, იღებენ გადახდის დამადასტურებელ ქვითარს და მერე ბანკიდან თანაბრად, 50-50 პროცენტით ნაწილდება ფული კომპლექსსა და აქ მომუშავე მწვრთნელებს შორის. აღსანიშნავია, რომ თვითდაფინანსებაზე გადასვლის შემდეგ, მწვრთნელებს არსად ხვდებათ ბაზის შემოსავლის 50 პროცენტი – ასეთი მაღალი განაკვეთი მხოლოდ ჩვენთანაა.

მწვრთნელები თავისი კუთვნილი 50-დან, 12 პროცენტს იხდიან სახელმწიფო ბიუჯეტში, საშემოსავლო გადასახადის სახით, დანარჩენი თანხა კი მთლიანად მათია. რაც შეეხება ჩვენს წილს, 50 პროცენტიდან, ოცპროცენტიან სოცანარიცხებს ვიხდით. დარჩენილი თანხა კი უნდა გადავანაწილოთ კომუნალურ გადასახადებსა და კომპლექსის მომსახურე პერსონალის ხელფასებზე. მთლიანობაში, ჩვენდამი კუთვნილი თანხა დიდი არაა. სიმართლე გითხრათ, არც მე და არც დირექტორატის სხვა წევრებს, რამდენიმე თვეა, თავადაც არ აგვიღია ხელფასი...

უნდა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ის დრო, როცა მწვრთნელები სპორტსმენებისგან ვარჯიშის სანაცვლოდ, ფულს იღებდნენ და ამ თანხას მთლიანად იჯიბავდნენ. როგორ გგონიათ, ეგნატაშვილის სკოლა პეტრიაშვილის ქუჩაზე რომ მდებარეობდა, იქ არ იხდიდნენ სპორტსმენები ფულს? მართალია, დღევანდელზე შედარებით მცირეს, მაგრამ მაინც იხდიდნენ და ვერაფერს ვამბობდით, რადგან მწვრთნელებს ისედაც მიზერული ხელფასები ჰქონდათ. ახლაც უნდათ, რომ სულ თვითონ აიღონ ფული და უცნაურ გარიგებებს გვთავაზობენ. ამასწინათ, ერთმა მწვრთნელმა ასეთი იდეა წამოაყენა: ვთქვათ, ვავარჯიშებ ათ ბავშვს, მოგცემთ მხოლოდ 30 ლარს (ანუ ერთი ბავშვის მიერ გადახდილ თანხას) და თქვენი ხელფასი არ მინდა, ოღონდ თქვენს დარბაზში შეუფერხებლად მუშაობის საშუალება მომეცითო. უნდათ, რომ თანხაც სულ მათ ჩაიჯიბონ და თან დარბაზიც დავუთმოთ...

რაც შეეხება ეგნატაშვილის სკოლის სანაპიროზე გადმოტანას, ამაში თავისი როლი მწვრთნელებმაც ითამაშეს. მათ არ ჰყავდათ იმდენი მოსწავლე, რომ დედაქალაქის ხელმძღვანელობას სკოლა შეენარჩუნებინა. მივიდნენ დილით და ნახეს, რომ ორი-სამი სპორტსმენი ვარჯიშობდა, შუადღით და საღამოთიც იგივე განმეორდა და რასაკვირველია, დაასკვნეს, რომ სკოლა დასახური იყო.

როგორ შეიძლება, გადამეტებული და თანაც, უსამართლო პრეტენზიები ჰქონდეთ იმ სახეობის მწვრთნელებს, რომელთაც მრავალი წლის განმავლობაში, ერთი მაღალი დონის სპორტსმენიც ვერ აღუზრდიათ და ამ ხნის განმავლობაში, მხოლოდ ილია გიორგაძის იმედად ვართ?

სასაცილოა, როცა ამბობენ, რომ ხელშეკრულება არ გვაქვს გაფორმებულიო. მერე, ვინ დაუშალათ? ამისათვის, ელემენტარულად, პირველიდან მეორე სართულზე ამოსვლაა საჭირო. თავიდან, უკლებლივ ყველა მწვრთნელმა შემოიტანა განაცხადი, რომ ჩვენს კომპლექსში მუშაობა სურდა, მაგრამ ხელშეკრულების ოფიციალურად გასაფორმებლად რამდენიმე მათგანი, და მათ შორის ისინიც, ვინც თქვენ გესაუბრნენ, აღარ ამოსულა.

ამჟამად ვაფორმებთ მოკლევადიან, სამთვიან კონტრაქტებს, რადგან შესაძლოა, სექტემბრიდან რაღაცები შეიცვალოს. კონკრეტულად, განხილვის სტადიაშია ვაუჩერიზაციის პროექტი, ანუ სახელმწიფო აპირებს სპორტსმენთა ვარჯიშის თანხის გადახდას.

მოკლედ, ჩვენ სახელმწიფოსთან გვაქვს ყველანაირი იურიდიული ფორმის დაცვით ხელშეკრულება, რომელსაც ვერანაირად ვერ დავარღვევთ. ობიექტურობა და კანონი ყველამ პირნათლად უნდა დაიცვას. ვისაც ჩვენი პირობები ხელს არ აძლევს, მასთან არ ვითანამშრომლებთ. ეგნატაშვილის სახელობის კომპლექსში ვარჯიშის ფულს, ვიმეორებ, არ გადაიხდიან მხოლოდ ეროვნული ნაკრები გუნდების წევრები, რომელთაც საკუთარი ფედერაციები, სპორტის დეპარტამენტი და ოლიმპიური კომიტეტი პატრონობენ.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრაფტის წინ

# ფენომენი თუ ინვალიდი?

ამ კაცს მთელი ლიგა, სხვებზე მეტად კი, დრაფტის პირველი ნომრის არჩევის უფლების მქონე - "პორტლენდ ტრაილ ბლეიზერსი" ელის. მოლოდინი დიდია და **გრეგ ოდენიც** მონდომებით ვარჯიშობს, მაგრამ თურმე ვეება ახალგაზრდას რამდენიმე მიკროტრავმა დღემდე არ მოუშუშებია და ვაითუ...



გრეგ ოდენი

28 ივნისამდე, ანუ დრაფტამდე ოდენმა კიდევ ერთხელ უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება და ამის მერელა მოეფინება ნათელი, თუ როგორ გრძნობს თავს **ტიმ დანკანის** 1997-ში არჩევის მერე, დრაფტის ისტორიაში ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე მაღალი მოთამაშე.

"ბლეიზერსის" ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, გრეგ ოდენს ჯერაც აწუხებს შარშან, ერთ-ერთი ვარჯიშისას მოტეხილი მარჯვენა მაჯა, გარდა ამისა, ტანკივით მძლავრ ცენტრს, ექიმებმა ქრონიკული დისკოზიც დაუდგინეს, თუმცა ეს კარგა ხნის, სადღაც 3-4 წლის ამბავი ყოფილა.

გრეგს ბოლო ვარჯიშებზე ტკივილგამაყუჩებლის გაკეთება დასჭირდა, რადგან ტკივილი აუტანელი იყო და მოთამაშეს ბურთის დაჭერა უჭირდა - ამბობს "პორტლენდის" წარმომადგენელი

*"ჩვენ არ ვმალავთ, რომ მთელ იმედებს ოდენზე ვამყარებთ, მაგრამ "პორტლენდს" ჯანმრთელი გრეგი სჭირდება და არა ინვალიდი. მაჯის ტრავმა კალათბურთელისთვის ყველაზე სერიოზულია, რადგან ხშირად ხდება, როდესაც მაჯის მორჩენის შემდეგ, მოთამაშე ბურთის გრძნობას კარგავს და მას ქვასავით ისვრის. უკანასკნელ ვარჯიშზე, ოდენმა თავიდან რაც ისროლა, ყველაფერი ჩააგდო, მაგრამ მერე და მერე სამწამიანიდან ზედიზედ რამდენიმე მარტივი სროლა რომ გააფუჭა, შეცვლა მოითხოვა და ვარჯიში აღარ გაუგრძელებია"*, - აცხადებს ეს პორტლენდელი.

სიმართლე რომ ბოლომდე შევტყოთ, მასმედიელები ოდენის ერთ-ერთ აგენტს, **ბილ დაფის** დაუკავშირდნენ, რომელმაც მაჯის ტრავმისა არაფერი ვიცი, მაგრამ ჩემს კლიენტს მარცხენა ფეხი მარჯვენაზე გრძელი რომ აქვს, ეს კი უნდა იცოდეთო.

*"ლიგაში არ მეგულება მოთამაშე, რომელსაც რამე არ აწუხებდეს. ზოგი ამას არ მალავს, ზოგიც მალავს, ზოგს კი კონკრეტული მიკროტრავმა ბოლომდე გახსნაში ხელს ისედაც არ უშლის. არც ჩვენ დაგვიმალავს რამე, თუმცა მგონი, ყველას უნდა სცოდნოდა, რომ გრეგს მცირე პრობლემები ჯერ კიდევ 4 წლისას შეექმნა. არა მგონია, ეს თუნდაც ჟურნალისტებისთვის მოულოდნელობა ყოფილიყო"*, - განუცხადა ამერიკელებს სატელეფონო საუბრისას დაფიმ. მის გარდა, გრეგ ოდენის აგენტად **მაიკ კონლიც** ჰყავს.

გრეგ ოდენის კომენტარი უცნობია, სულ ბოლოს კი ლეგენდარული **ბილ რასელის** აზრსაც გაგაცნობთ.

*"გრეგს თუ რამე აწუხებს, ურჩევნია ყველაფერი მოირჩინოს და ამ ჯოჯოხეთში თავი მერე შეყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში არ გაახარებენ და ყოველთვის ეცდებიან მტკივან ადგილას მიარტყან. ამით, მას კონტაქტურ თამაშში შესვლის კომპლექსსაც გაუჩენენ"*, - მიაჩნია ლეგენდარულ მოთამაშეს.

**ზურაბ თალაკვაძე**

ნიუ იორკ ნიქსი

# რაშარდის საშარდა

ღირს თუ არა **მაიკლ ფინლიზე** უფრო ათლეტური და გაცილებით სუსტი მცველის საფასურად წლიურად 17 მილიონის დოლარის გადახდა? აი, ეს გახდება ნიუიორკული მასმედიის საამკვირაო საწერ-გასარჩევი, მიზეზი კი შემდეგია - "ნიქსის" მთავარი მწვრთნელი **აიზია ტომასი** თავისუფალ აგენტ **რაშარდ ლიუისს** ნიუ იორკში შეხვდება და ყველანაირად ეცდება, ეს ნიჭიერი, მაგრამ რთულად მოსარჯულებელი მცველი "ნიქსში" თამაშზე დაიყოლიოს.

გასული რეგულარულის დასრულების შემდეგ, რაშარდ ლიუისმა თავის წინა კლუბთან - "სიეტლ სუპერსონიქსთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება აღარ მოისურვა და თავი საბაზრო სასწორზე შეაგდო.

ტომასს ასეთი გეგმა ჰქონია - ლიუისი პირველ დღეს თავისთან ვილაზე უნდა მიიპატიჟოს და ოჯახის წევრები გააცნოს, მეორე დღეს კი, "ნიქსის" მეპატრონე **ჯეიმს დოლანის** იახტით გაასეირნოს და იქვე გრძელვადიანი კონტრაქტიც გაუფორმოს მას.

როგორც იცით, თავისუფალ აგენტებთან შეხვედრა გუნდებს 1 ივლისამდე აქვთ აკრძალული, მაგრამ ტომასის თქმით, ლიუისს უკვე დაუკავშირდა რამდენიმე გუნდი და "ნიქსი" მხოლოდ ამის მერელა გააქტიურდაო. კიდევ ერთი ვერსიით, ტომასს სულ არ ანაღვლებს ლიგის ფინანსური სანქცია და მზად არის, 100 000 დოლარიც კი გადაიხადოს, ოღონდ ეს ოქროკაცი სხვაგან არ გადავიდეს.

ლიუისის აგენტი **ტონი დატია**, რომელსაც აიზიასთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს. დატი, თავის დროზე, **მარკუს კემბის** პირველი აგენტი იყო, მაშინ კი კემბი "ტორონტო რეპტორზის" ამომავალი ვარსკვლავი გახლდათ, აიზია ტომასი - კანადური გუნდის პრეზიდენტი.

*"აიზიას ვენდობით და თუ იგი მოგვცემს იმის გარანტიას, რომ "ნიქსი" მომავალ სეზონში, მინიმუმ, საფლეიოფოდ იბრძოლებს, ესე იგი ყველაფერი მშვენივრადაა"*, - მიაჩნია დატს.

ისე, ამ კაცს სიტყვა "მინიმუმი" "მაქსიმუმით" რომ შეეცვალა, უფრო სწორი იქნებოდა, რადგან თუ "ნიქსი" ლიუისს დაიმატებს, მაშინ მინიმუმ **სტივ ფრენსისისა** და **ჩეინინგ ფრაის** გაშვება მოუწევს, ან კიდევ სულაც **სტეფონ მარბერის** უნდა გამოეთხოვოს. მიზეზი - სახელფასო ლიმიტია.

რაშარდ ლიუისი თითქმის **პოლ პირსია**, მაგრამ "სელტიქსის" ლიდერისგან განსხვავებით, დაცვაში თამაში არც უყვარს და არც იცის.

შეტევაში კი იცოცხლე, მაგარი ბიჭია - ლიუისის საშუალო მონაგარი მხოლოდ 16.6 ქულა კია, მაგრამ ბოლო სამი რეგულარულის განმავლობაში, იგი საშუალოდ 20.5, 20.1 და 22.4 ქულას უგროვებდა თავს. რაშარდი 27 წლისაა და მთელი თავისი კარიერა "სონიქსის" რიგებში აქვს გატარებული.

**ზურაბ თალაკვაძე**

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. ექსპერტის აზრი

# პროსტი მაკლარენს აკრიტიკებს

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ფრანგმა ავტომრბოლმა **ალენ პროსტმა** ინტერვიუ მისცა ესპანურ გაზეთ "ელ პაისს", სადაც მან წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერ "მაკლარენ მერსედესის" შიდა პოლიტიკა გააკრიტიკა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ფორმულა 1-ის სამყაროში აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ამ ბრიტანული საჯინიბოს პილოტებს **ფერნანდო ალონსოსა** და **ლუის ჰემილტონს** დაძაბული ურთიერთობა აქვთ. ამის მიზეზი ის არის, რომ ესპანელმა ავტომრბოლმა, ერთ-ერთ ინტერვიუში გუნდის ხელმძღვანელობა ჰემილტონის მიმართ ზედმეტ ყურადღებაში დაადანაშაულა. "მაკლარენის" შეფი - **რონ დენისი** ამ აჟიოტაჟის განელებას ცდილობს და მუდმივად იმეორებს, რომ მის გუნდში ორივე პილოტი თანაბარი უფლებებით სარგებლობს.



ალენ პროსტი

სწორედ ამ ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას ალენ პროსტი. იმ პოლიტიკამ, რომლის მიხედვითაც ორივე პილოტი, მიუხედავად სტატუსისა, თანაბარ სიტუაციაში იმყოფება, შეიძლება გუნდისთვის დამღუპველი შედეგები გამოიწვიოს.

*"ბოლო და ბოლოს, ყველაფერმა ამან შესაძლოა "მაკლარენის" საწინააღმდეგოდ იმოქმედოს. ჩემი აზრით, საქმისადმი ამგვარი მიდგომა დიდ დაძაბულობას წარმოქმნის, რომელთან გამკლავებაც ძალიან რთული იქნება"*, - ამბობს ფორმულა 1-ის ლეგენდა.

საინტერესოა პროსტის აზრი იმის შესახებაც, თუ რა განსაზღვრავს თანამედროვე სარბოლო საჯინიბოებში საბოლოო შედეგს. *"თანამედროვე ბოლიდებს პრაქტიკულად იდენტური მახასიათებლები გააჩნიათ, რაც უმაღლესი ტექნიკური დონითა და რეგლამენტით არის გამოწვეული. ამიტომაც, ტრასაზე ბრძოლა თითქმის არ მიმდინარეობს, გასწრება პრაქტიკულად გამორიცხულია. ხოლო გამარჯვებულის საკითხი არა ტრასაზე, არამედ ბოქსებში, სტრატეგიისა და ტაქტიკის სწორი შერჩევით ირკვევა. ერთადერთი, რასაც ბოქსებიდან ვერ აკონტროლებენ, ეს პილოტის შეცდომებია"*.

პროსტმა საერთო ჩათვლაში ჰემილტონისა და ალონსოს პოზიციებზეც ისაუბრა: *"ჰემილტონი დიდი ხანია მჭიდროდ თანამშრომლობს "მაკლარენის" სპეციალისტებთან. ის ძალიან დიდ დროს ატარებს უოკინგის ფაბრიკაში სუპერთანამედროვე კომპიუტერულ სიმულატორებთან, ამიტომაც, ინჟინრებს უფრო უადვილდებათ მისთვის მანქანის მომზადება. მიუხედავად ჰემილტონის ლიდერობისა, ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ ალონსო სუპერპილოტია. ესპანელი ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ტოვებს"*.

## TV სპორტი

### 22 ივნისი. პარასკევი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. მე-5 ადგილისთვის. ჰოლანდია.
14:10 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. დინამო-არსენალი.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 ტოქ-შოუ - 2:1.
16:55 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შტუტგარტი.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:30 საფეხბურთო კლუბი.
20:15 კვირის მატჩი.
22:00 კოპა ამერიკას წინ.
23:00 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
00:30 სასტვენი.
01:00 საფეხბურთო კლუბი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:18 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხიმნასტიკი-ბარსელონა.
09:01 სპორტინფორმი.
09:12 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:40 ჰოკეი.
10:04 სპორტინფორმი.
10:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ნოტინგემი. ბრიტანეთი.
13:11 აფროსნობა. ამერიკის თასი.
13:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
15:26 ფეხბურთი. Barca TV. ანდრეს ინიესტა.
16:14 ხელბურთი.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნოტინგემი. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 სპორტინფორმი.
19:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. იანკოვიჩი-მორესმო. სტრასბური. საფრანგეთი.
21:55 სპორტული ისტორია.
22:00 სპორტინფორმი.
22:15 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩივასი-დინამო (ჰიუსტონი).
00:00 სპორტინფორმი.
00:11 კრივი. რინგ-საიდი.
01:07 სპორტინფორმი.
01:18 აფროსნობა. ამერიკის თასი.
01:45 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
03:32 გენერაცია.
03:49 ფეხბურთი. Barca TV.
04:52 სპორტული ისტორია.
04:59 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნოტინგემი. ბრიტანეთი.

#### EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი.
12:00 სპიდვეი. დანიის გრან-პრი.
13:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი.
14:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
18:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. დიდი ბრიტანეთის გრან პრი (LIVE).
19:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი.
21:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. გერმანია.
21:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. ლატვია.
22:00 ტიმბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
22:30 რალი. ახალი სერია. I დღე. ბელგია (LIVE).
22:45 მულტისპორტი.
23:00 სნუკერი. დიდების დარბაზი.
00:00 რესტლინგი.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი.
03:00 მულტისპორტი.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი.
10:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი.
12:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. რეალი-ბარსელონა. III მატჩი.
13:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ჩიკაგო.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
15:45 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
17:00 მულტისპორტი.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნოტინგემი. ბრიტანეთი (LIVE).
19:15 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. რეალი-ბარსელონა. III მატჩი.
20:00 წყალბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი (LIVE).
21:00 მულტისპორტი.
21:30 ახალი ამბები.
21:45 სერფინგი.
22:00 წყალბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი (LIVE).
23:00 რაგბი. IRB. ერთა თასი. ბუქარესტი. რუმინეთი.
00:00 რაგბი. IRB. წყნარი ოკეანის ერთა თასი.
01:15 რალი. ახალი სერია. I დღე. ბელგია (LIVE).
01:30 ავსტრალიური ფეხბურთი.
02:30 რალი. ახალი სერია. I დღე. ბელგია (LIVE).
02:45 სერფინგი.
03:00 პრო-რესტლინგი. იაპონიის ლიგა.
04:30 ახალი ამბები.
05:45 რალი. ახალი სერია. I დღე. ბელგია.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2007** | |
| **UNDER 21** | |
| მე-5 ადგილისთვის | |
| იტალია-პორტუგალია | 0:0, პენ. 4:3 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ფლეი ოფი | |
| ვერონა-სპეცია | 0:0 |
| **ნორვეგია** | |
| სტარტი-ოდ გრენლანდი | 1:2 |
| რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დეგერფორსი-ფალკენბერგი | 1:1 |
| იონჩოპინგსი-ლანდსკრონა | 1:1 |
| ლიუნგსკილე-ოსტერსი | 2:0 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ნოტინგემი** | |
| **კარლოვიჩი**-დელ პორტო | 7:6; 7:5 |
| ტურსუნოვი-გარსია ლოპესი | შეწყდა |
| გასკე-კლემანი | შეწყდა |
| ბიორკმანი-მატიო | შეწყდა |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| **ბენეტო**-ბერერი | 7:6, 7:5 |
| **ლუბიჩიჩი**-ტიპსარევიჩი | 6:3, 6:7, 6:3 |
| ბეკერი-დუპუი | შეწყდა |
| რობრედო-**ვესელსი** | 3:6, 3:6 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| **ანენი**-ვაიდიშოვა | 6:2, 6:2 |
| **პეტროვა**-ბამერი | 6:7, 7:5, 6:4 |
| დემენტიევა-**ბარტოლი** | 1:6, 0:6 |
| **მორესმო**-პეერი | 6:3, 6:4 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| **საფინა**-პენეტა | 6:1, 7:5 |
| **იანკოვიჩი**-ა. ბონდარენკო | 6:2, 6:1 |
| **ჩაკვეტაძე**-კერბერი | 6:2, 6:2 |
| ივანოვიჩი-**ჰანტუხოვა** | 3:6, 1:6 |

ჰოკეი

# NHL-ის წესებში ცვლილებებია

ჰოკეის ეროვნული ლიგის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე წესებში გარკვეული ცვლილებები შეიტანეს. მთავარი ცვლილება ბულიტების დანიშვნის წესებს შეეხო.

ამიერიდან, NHL-ის მატჩებში გაცილებით მეტ ბულიტს ვიხილავთ, რადგან ახალი წესების თანახმად, მეკარესთან პირისპირ გასული ჰოკეისტის წინააღმდეგ ჯარიმისთვის, ნებისმიერ შემთხვევაში, პენალტი დაინიშნება.

გარდა ამისა, საერთოდ უქმდება ცნება - "განზრახ უხეშობა". ახლა წესის ნებისმიერ, თუნდაც უხეშ დარღვევას ჩვეულებრივი, 2-წუთიანი ჯარიმა მოჰყვება, ხოლო მატჩის შემდეგ, განსაკუთრებული უხეშობით გამორჩეულ ჰოკეისტებს დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა ელით.

# დეტროიტი ჰაშეკს ვერ ელევა

"დეტროიტ რედ უინგზის" გენერალურმა მენეჯერმა **კენ ჰოლანდმა** შეხვედრა დაუნიშნა **დომინიკ ჰაშეკის, ტოდ ბერტუცისა** და **მატიო შნაიდერის** აგენტებს. ეს ის ვეტერანი ჰოკეისტები არიან, რომლებსაც კლუბთან კონტრაქტების ვადა ამოეწურათ და თანაც, ჰაშეკი და ბერტუცი კარიერის დასრულებაზე ფიქრობენ.

*"პირველი ნაბიჯი ჩვენ გადავდგით. ვნახოთ, რა გამოვა აქედან"*, - განაცხადა ჰოლანდმა, რომელიც არ მალავს, რომ სამივე მოთამაშესთან სურს კონტრაქტის გაგრძელება.

ვარაუდობენ, რომ ჩეხ მეკარეს შარშანდელზე ოდნავ გაუმჯობესებულ კონტრაქტს შესთავაზებენ. გასულ სეზონში, "დომინატორმა" 750 ათასი დოლარი მიიღო.

# კარია ნეშვილიდან მიდის

ამერიკული პრესის ინფორმაციით, დიდია ალბათობა იმისა, რომ "ნეშვილ პრედატორზის" ვეტერანი ფორვარდი **პოლ კარია**, თავისუფალი აგენტების ბაზრის გახსნის შემდეგ კლუბს დატოვებს.

*"სავარაუდოდ, ჩვენს ძირითად თავისუფალ აგენტებთან კონტრაქტების გახანგრძლივებას ვერ შევძლებთ. ვიცი, რომ თუ გუნდი ძველებურად კონკურენტუნარიანი იქნება, მაშინ კარია ჩვენთან დარჩენას ამჯობინებს. "ნეშვილისთვის" ყველაფერი ივლისის პირველ რიცხვებში გაირკვევა"*, - ამბობს "პრედატორზის" გენერალური მენეჯერი **დევიდ პოილი**.

# ბოსტონის ნაცვლად შვედეთი

"ბოსტონ ბრუინზის" თავდამსხმელმა **პეტრ ტენკრატმა** ჰოკეის ეროვნული ლიგა შვედეთის ჩემპიონატზე გაცვალა. ამ ჰოკეისტმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა შვედურ კლუბ "ტიმრასთან.

კონტრაქტის მიხედვით, ჩეხი ფორვარდი NHL-ში დაბრუნების უფლებას იტოვებს. ეს მაშინვე მოხდება, როგორც კი, "ბოსტონი" ტენკრატის თავის შემადგენლობაში ხილვას მოისურვებს.

კალათბურთი

## ნაიკიდან პორტლენდში

"პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ვებგვერდზე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, ამ კლუბს მომავალი სეზონიდან ახალი პრეზიდენტი ეყოლება.

"ბლეიზერსის" საქმეები კომპანია "ნაიკის" აღმასრულებელმა დირექტორმა **ლარი მილერმა** ჩაიბარა.

## ვაშინგტონი პრეზიდენტის გარეშე

ამასობაში, "ვაშინგტონ უიზარდსის" პრეზიდენტის პოსტი დატოვა, NBA-ში ამ თანამდებობაზე მომუშავე ერთადერთმა ქალმა **სიუზან ო'მალიმ**.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, ო'მალის კონტრაქტის ვადა 30 ივნისს იწურება და ამ ქალბატონმა გადაწყვიტა, აღარ გაახანგრძლივოს ხელშეკრულება დედაქალაქურ კლუბთან.

სიუზან ო'მალიმ "უიზარდსის" პრეზიდენტის პოსტზე 10 წელი იმუშავა.

## მაკაბის ახალი გამთამაშებელი ჰყავს

ისრაელის ჩემპიონმა თელ-ავივის "მაკაბიმ" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა აშერიკელ გამთამაშებელ **ვონტიგო კამინგზთან**.

კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გასულ სეზონში 31 წლის კალათბურთელი ბელგრადის "პარტიზანის" ღირსებას იცავდა.

## როდრიგესი წლის მენეჯერი გახდა

ULEB-მა გასული წლის ევროლიგის შედეგების მიხედვით, წლის საუკეთესო მენეჯერი გამოავლინა. ეს საპატიო ტიტული წილად ხვდა ესპანეთის "უნიკახას" სპორტულ დირექტორს **ხუან მანუელ როდრიგესს**.

როდრიგესმა გაიმარჯვა გამოკითხვაში, რომელშიც ევროლიგის სხვა გუნდების მენეჯერები იღებდნენ მონაწილეობას.

მალაგური კლუბის სპორტული დირექტორი "უნიკახაში" 1994 წლიდან მუშაობს. წელს ამ გუნდმა არნახულ წარმატებას მიაღწია - ევროლიგის "ოთხთა ფინალში" გავიდა, სადაც ნახევარფინალში მოსკოვის ცსკა-სთან წააგო.

## ULEB და FIBA: ახალი დაპირისპირება დაიწყო

როგორც გუშინ ვიტყობინებოდით, ULEB-ის თასის მონაწილეთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა და გაისად, ამ ტურნირში 48 გუნდი იასპარეზებს. ბუნებრივია, ეს ფაქტი რეაქციის გარეშე არ დაუტოვებია ULEB-ის კონკურენტ FIBA-ევროპას, რომლის საკლუბო ტურნირები, ამ გადაწყვეტილების შემდეგ, კიდევ უფრო გალარიბდება.

*"ULEB-მა FIBA-სთან გაფორმებული კონტრაქტი დაარღვია, როცა ოფიციალურად გამოაცხადა მონაწილეთა რიცხვის გაზრდის შესახებ. ამიტომაც, FIBA-ევროპამ მოქმედების ახალი სტრატეგია უნდა შეიმუშავოს, ვინაიდან ULEB-თან არანაირი ხელშეკრულება აღარ არსებობს. დღეს, მიუნხენში ჩვენი ორგანიზაციისა და ყველა წამყვანი ეროვნული ფედერაციის წარმომადგენელთა ექსტრემალური შეხვედრა გაიმართება. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, რაღაც სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, თუმცა კონკრეტულად რაიმეს თქმა ჯერ არ შემიძლია"*, - აცხადებს FIBA-ევროპის სპორტული დირექტორი **კოსტა ილიევი**.

## სოპოტი ცენტრს ეძებს

შარშანდელი ევროლიგის მონაწილე პოლონეთის "სოპოტი" მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს. კერძოდ, ამ კლუბმა უკვე შეათანხმა მოსკოვის ცსკა-დან ბელგიელი **ტომას ვან დენ შპიგელის** ტრანსფერის საკითხი.

გარდა ამისა, "სოპოტი" პარალელურად რამდენიმე ფრონტზე მოღვაწეობს. მას რუსეთის "ხიმკიდან" არგენტინელი **რუბენ ვოლკოვისკისა** და "პანათინაიკოსიდან" ლიტველი **რობერტას იავტოკასის** გადაბირებაც სურს. ეს კალათბურთელები ამპლუით ცენტრები არიან.

## სპურსის მმართველ შტაბში მატებაა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალი ჩემპიონის "სან ანტონიო სპურსის" ხელმძღვანელთა შტაბი ახალი წევრით შეივსო. მომავალი სეზონიდან ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური მენეჯერის ასისტენტის როლს **დენის ლინდსი** შეასრულებს, რომელიც მანამდე 11 წელი "ჰიუსტონ როკეტსში" მუშაობდა.

ლინდსი ამ თანამდებობაზე **სემ პრესტის** შეცვლის. ეს უკანასკნელი 7 ივნისს, "სიეტლ სუპერსონიქსის" გენერალურ მენეჯერად დაინიშნა.

## მილანში დიდი მზადებაა

"მილანი" მომავალი სეზონისთვის მზადებას იწყებს. იტალიურმა კლუბმა კონტრაქტი გაუგრძელა ფორვარდ **ტრევის უოტსონს**, რომლის მიხედვითაც, ამერიკელი კალათბურთელი გუნდში კიდევ ორი წელი დარჩება.

გარდა ამისა, იტალიური პრესა იტყობინება, რომ შესაძლოა კლუბს გაისად ახალი მწვრთნელი ჰყავდეს. კერძოდ, "მილანში" ესპანური "უნიკახას" დამრიგებელ **სერჯო სკარიოლოს** ელიან.

## ლატვიელებმა კონსულტანტი აიყვანეს

ლატვიის საკალათბურთო კავშირმა კონტრაქტი გააფორმა უცხოელ სპეციალისტ **კოსტა იანკოვთან**. ეს უკანასკნელი უახლოესი სამი წლის განმავლობაში, ლატვიის ნაკრების მწვრთნელებს გაუწევს კონსულტაციას.

კონტრაქტის მიხედვით, ბულგარელი სპეციალისტი თვეში მინიმუმ ერთი კვირას გაატარებს გუნდთან. ლატვიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **კარლის მუიჟნიექსთან** თანამშრომლობა ივლისის შუა რიცხვებიდან დაიწყება. იანკოვის ხელფასი წელიწადში 143 ათასი ევრო იქნება.

დღეისათვის, ბულგარელი NBA-ის კლუბ "გოლდენ სტეიტ უორიორზთან" თანამშრომლობს ის სკაუტის ფუნქციებს ასრულებს. თავის დროზე, მას მწვრთნელად უმუშავია "იუგოპლასტიკაში", "უნიკახაში", "პანათინაიკოსში", "პარი სენ-ჟერმენში". გასულ წელს, იანკოვი ამერიკის ნაკრების ხელმძღვანელობას ეხმარებოდა იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე.

ხელბურთი

## წილი ნაყარია

2-16 დეკემბერს, საფრანგეთში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. გუშინ, ამ ტურნირის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა და 24 გუნდი 6 ჯგუფში ასე გადანაწილდა:

A **ჯგუფი**: საფრანგეთი, ხორვატია, არგენტინა, ყაზახეთი;
B **ჯგუფი**: რუსეთი, ბრაზილია, მაკედონია, ავსტრია
C **ჯგუფი**: ნორვეგია, ავსტრია, ანგოლა, დომინიკის რესპუბლიკა
D **ჯგუფი**: რუმინეთი, პოლონეთი, ჩინეთი, ტუნისი
E **ჯგუფი**: უნგრეთი, ესპანეთი, იაპონია, კონგო
F **ჯგუფი**: გერმანია, კორეა, უკრაინა, პარაგვაი.

შეგახსენებთ, რომ 2007 წლის ჩემპიონი პირდაპირ მოხვდება პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე, ხოლო 2-7 ადგილის მფლობელები დამატებით საგზურებს ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირზე გაითამაშებენ.



უიმბლდონი 2007

# განთესილები ცნობილია

### უილიამსები ოქროს ჩოგნებით ითამაშებენ

დღეს, "დიდი სლემის" სერიის რიგით მესამე ტურნირის უიმბლდონის წილისყრა გაიმართება, მანამდე კი, ორგანიზატორებმა განთესილი ჩოგბურთელების სია გამოაქვეყნეს.

ინგლისელები ამ შემთხვევაშიც არ ღალატობენ წლობით დამკვიდრებულ ტრადიციას და მათ განთესვის პროცედურა, "დიდი სლემის" სხვა ტურნირებთან შედარებით, ოდნავ განსხვავებული აქვთ. თუ ავსტრალიის, ამერიკისა და საფრანგეთის ღია პირველობებზე, ჩოგბურთელის განთესვის ნომერი კლასიფიკაციაში იმ მომენტისთვის დაკავებულ ადგილს ემთხვევა, უიმბლდონის ორგანიზატორები ამის გარდა, მოთამაშეთა წარსულ დამსახურებებსაც ითვალისწინებენ.

ასე მაგალითად, შარშანდელი უიმბლდონის ნახევარფინალისტი **მარკოს ბაღდატისი** მეათე ნომრად არის განთესილი, იმ დროს, როცა რეიტინგში კვიპროსელს მე-16 ადგილი უკავია. სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ტურნირის მეოთხე ნომერი იქნება, კლასიფიკაციაში კი, მეხუთე ჩოგანი გახლავთ. ასევე არ ემთხვევა განთესვისა და რეიტინგის ნომრები ჩეხი **ტომას ბერდიხის** შემთხვევაში - უიმბლდონზე ის მეშვიდეა, ATP-ის სიაში კი, მე-11.

სამაგიეროდ, ქალთა შორის განთესილი პირველი 18 ჩოგბურთელის სია, ზუსტად ემთხვევა WTA-ს კლასიფიკაციას.

ამასობაში, ცნობილი ხდება, რომ დები **უილიამსები** უიმბლდონზე ოქროს ჩოგნებით ითამაშებენ. როგორც სააგენტო AP იტყობინება, **სერენას** Wilson (K) Faktor-ის შავი მოდელი ექნება, ხოლო მისი უფროსი და **ვენუსი** თეთრი მოდელით ითამაშებს. ორივე ჩოგნის ტარს 22-კარატიანი ოქროს თხელი ფურცელი ექნება შემოხვეული.

გუშინვე გაირკვა, რომ უილიამსები უიმბლდონზე წყვილთა თანრიგშიც ითამაშებენ ორგანიზატორებმა დების დუეტს უაილდ-ქარდი მისცეს. ასე რომ, სერენას და ვენუსს კარიერაში უიმბლდონის წყვილთა თანრიგის მესამედ მოგების საშუალება ეძლევათ.


როჯერ ფედერერი


ჟუსტინ ანენი

| ვაჟები |
|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) |
| 4. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) |
| 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) |
| 6. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) |
| 7. ტომას ბერდიხი (ჩეხეთი) |
| 8. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) |
| 10. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) |
| 11. ტომი რობრედო (ესპანეთი) |
| 12. რიშარ გასკე (საფრანგეთი) |
| 13. ტომი ჰაასი (გერმანია) |
| 14. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) |
| 15. ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) |
| 16. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) |
| 17. დავიდ ფერერი (ესპანეთი) |
| 18. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) |
| 19. მარკო ნიემინენი (ფინეთი) |
| 20. იონას ბიორკმანი (შვედეთი) |
| 21. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) |
| 22. დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) |
| 23. გილერმო კანიასი (არგენტინა) |
| 24. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) |
| 25. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) |
| 26. კარლოს მოია (ესპანეთი) |
| 27. მარატ საფინი (რუსეთი) |
| 28. ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) |
| 29. რობინ სიოდერლინგი (შვედეთი) |
| 30. აგუსტინ კალერი (არგენტინა) |
| 31. ფილიპო ვოლანდრი (იტალია) |
| 32. ხუან მონაკო (არგენტინა) |

| ქალები |
|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელგია) |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) |
| 4. ამელი მორესმო (საფრანგეთი) |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) |
| 6. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) |
| 7. სერენა უილიამსი (აშშ) |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) |
| 9. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) |
| 11. ნადია პეტროვა (რუსეთი) |
| 12. ელენა დემენტიევა (რუსეთი) |
| 13. დინარა საფინა (რუსეთი) |
| 14. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) |
| 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) |
| 16. შაარ პეერი (ისრაელი) |
| 17. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) |
| 18. ნა ლი (ჩინეთი) |
| 19. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) |
| 20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) |
| 21. სიბილ ბამერი (ავსტრია) |
| 22. ტატიანა გარბინი (იტალია) |
| 23. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) |
| 24. ვენუს უილიამსი (აშშ) |
| 25. ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) |
| 26. ლუსი საფაროვა (ჩეხეთი) |
| 27. აი სუგიამა (იაპონია) |
| 28. სამანტა სტოსური (ავსტრალია) |
| 29. მარა სანტანჯელო (იტალია) |
| 30. ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) |
| 31. ოლგა პუჩკოვა (რუსეთი) |
| 32. მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) |

## ტურნირები

### ATP

#### Ordina Open

ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). ბალახი
**საპრიზო ფონდი**: 353 450 ევრო

**1/8 ფინალი**

**ჟულიენ ბენეტო (საფ)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 7:6(5), 6:3; **ანტონი დუპუი (საფ)**-სერხიო როიტმანი (არგ) 6:4, 7:6(2); **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-ივ ალეგრო (შვეიც) 6:4, 7:6(6); **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-ლუკაშ დლუჰი (ჩეხ) 6:2, 2:6, 7:5; **მიხაელ ბერერი (გერ)**-გილერმო კანიასი (არგ) 3:6, 6:4, 6:4; **პეტერ ვესელსი (ჰოლ)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:2, 7:6(3); **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 2)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:3, 6:4; **ტომი რობრედო (ესპ, 1)**-კრისტოფ ვლიგენი (ბელ) 6:4, 6:7(3), 6:3.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

რობრედო (1)-ვესელსი; ბეკერი-დუპუი; ბენეტო-ბერერი; ლუბიჩიჩი (2)-ტიპსარევიჩი.

#### ნოტინგემის ღია

ნოტინგემი (ინგლისი). ბალახი
**საპრიზო ფონდი**: 323 050 ევრო

**1/8 ფინალი**

**რიშარ გასკე (საფ, 1)**-ირჟი ვაჩეკი (ჩეხ) 6:4, 6:0; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 2)**-ტიმ ჰენმანი (ბრიტ) 7:6(7), 3:6, 6:2; **იონას ბიორკმანი (შვედ, 4)**-ამერ დელიჩი (აშშ) 7:5, 7:6(2); **პოლ ანრი მატიო (საფ, 6)**-ჰიუნ ტაიკ ლი (კორ) 7:6(2), 6:2; **არნო კლემანი (საფ, 8)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 7:6(5), 3:6, 6:3; **ხუან დელ პოტრო (არგ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:2, 7:5; **გილერმო გარსია ლოპესი (ესპ)**-სებასტიან გროსჟანი (საფ) 6:4, 6:3; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-ჟილ სიმონი (საფ) 7:6(4), 6:7(4), 6:4.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

გასკე (1)-კლემანი (8); ბიორკმანი (4)-მატიო (6); კარლოვიჩი-დელ პოტრო; ტურსუნოვი (2)-გარსია ლოპესი.

### WTA

#### International Women's Open

ისტბურნი (ინგლისი). ბალახი
**საპრიზო ფონდი**: 600 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 6:4, 6:1; **ამელი მორესმო (საფ, 2)**-მარა სატანჯელო (საფ) 6:2, 6:3; **ნადია პეტროვა (რუს, 3)**-ნატალი დეში (საფ) 7:5, 7:5; **ელენა დემენტიევა (რუს, 4)**-კატი ო'ბრაიენი (ბრიტ) 6:3, 6:4; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 5)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 6:3, 6:2; **შაარ პეერი (ისრ, 6)**-აიკო ნაკამურა (იაპ) 6:3, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 8)**-მელანი საუთი (ბრიტ) 6:1, 6:3; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 9)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 7:6(5), 5:7, 6:3.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ანენი (1)-ვაიდიშოვა (5); დემენტიევა (4)-ბარტოლი (8); პეტროვა (3)-ბამერი (9); მორესმო (2)-პეერი (6).

#### Ordina Open

ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). ბალახი
**საპრიზო ფონდი**: 175 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 1)**-მეილენ ტუ (აშშ) ტუს უარი; **დინარა საფინა (რუს, 4)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 6:4, 3:6, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 5)**-მეგან შონესი (აშშ) 3:6, 6:3, 5:3 შონესის უარი; **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:3, 6:3.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

იანკოვიჩი (1)-ა. ბონდარენკო (8); საფინა (4)-პენეტა; ჩაკვეტაძე (3)-კერბერი; ივანოვიჩი (2)-ჰანტუხოვა (5).

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა